ფასი 40 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 22 ხუთშაბათი, 22 აგვისტო 1918 წ. № 22

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

## ოზურგეთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის პირველ სექტემბრიდან საჭიროა ქალაქის აფთიაქისთვის გამგე-პროვიზორი. ჯამაგირი თვეში 500 მანეთი.
მისამართი: ქ. ოზურგეთი ქალაქის გამგეობას. (5--5)

## თბილისის კონსერვატორია.

მისაღები გამოცდები დაიწყება 10 სექტემბრიდან. თხოვნების მიღება კონსერვატორიის კანცელარიაში (გრიბოედოვის ქ., № 8) ორშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 11—1 საათამდე. სწავლის ფასი სიმღერის კლასებში 350 მან. წელიწადში, დანარჩენ კლასებში 300 მან. სწავლის ფასი გადახდება ნახევარის წლობით. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს. 6—3

## თბილისის საქალაქო სახელოსნო სასწავლებელი

იწვევს პირთ, რომელთაც სურს დაიჭირონ ხატვის, ხაზვის, რუსული ენისა, არითმეტიკის, ისტორიის, ფიზიკის, სამშობლოს ალწერის, ხელოსან-დურგლისა და ეკონომის თანამდებობანი. შემოიტანონ განცხადებები სასწავლებლის დირექტორის სახელზე. თავიანთი განვლილი მოღვაწეობის შესახებ ცნობების დართვით და აგრეთვე სრული curriculum vitae სამსახურის პირობების შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ-დღე სასწავლებლის კანცელარიაში 10—12 საათამდე. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერიდან. სასწავლებელთან გაიხსნა მოსამზადებელი კლასიც, სადაც მიიღებიან პირველ დაწყებითს სკოლებში კურს დასრულებულნი უეგზამენოდ. პირველ კლასში კი მხოლოდ გამოცდის შემდეგ.

## განცხადება

ამ მოკლე ხანში ქალ. თბილისში შესდგება პაიებზედ დამყარებული ამხანაგობა

„კოლხიდა“,

კინემატოგრაფიულ ოტელეს გახსნით, სადაც იქნება გადაღებული სურათები კავკასიის ცხოვრებიდან. შეძენილია ყოველივე საჭირო მასალები. ამხანაგობის დამაარსებელი ტ. ი. გადელია ცხოვრობს: პასტეროვის ქ., № 4, სადაც შეიძლება დაწვრილებითი პირობების შეტყობა ყოველ დღე. 3—1

## ქალაქ თბილისის საკრედიტო დაწესებულებათა კომიტეტის წარმომადგენლებისგან.

ჩვენების ძლიერი სპეკულიაციის გამო, რომელიც ხელს უშლის ფულის ნორმალურად ხმარებას, იმ დროს, როცა ბანკები ღებულობენ მიმდინარე ანგარიშზე ნაღდ ფულს, რომლის უკან მიღება და მთავრობის და ბანკების მიერ ყოველ დროს სრულიად უზრუნველყოფილია ქ. თბილისის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების კომიტეტმა და აგრეთვე სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ, მიზანშეწონილად იცვნეს დროებით შესწყვიტონ მიმდინარე ანგარიშზე ფულის მიღება. ყველა ანგარიშები, რომლებიც დამყარებულია რეალურ მორიგებაზე და აგრეთვე ფულის მიცემის სხვა-და-სხვა ვალდებულობა ძველებურად მიეთვლება მიმდინარე ანგარიშზე შეტანილ სრულ ჯამს. ფულის გამოტანა შეიძლება დადგენილ ნორმებით ძველ მიმდინარე ანგარიშით, რაც ფინანსთა სამინისტროს თანხმობით ცხადდება ყველას საყურადღებოდ.

## ქართული შრიფტი.

საბეჭდავ მანქანებზე ვაკეთებ ქართულ შრიფტს.
შეკვეთილებს ვასრულებთ სუფთათ და სწრაფად.
ს. გერმანი. სასახლის ქუჩა, № 2.

## ოფიციალური განყოფილება

### ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

17 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 225.

დამტკიცებულია: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ სპეკულიაციის, მძარცველობის და კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველ განსაკუთრებული რაზმის უფროსის თანაშემწე მელქისედეკ მიხეილის ძე კედია, იმავე რაზმის უფროსის თანამდებობის მოვალეობათა აღსასრულებლად.

ინიშნება: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის მოხელე პლატონ-ზურაბის ძე პაჩულია—იმავე სამინისტროს ან არსებულ სპეკულიაციის, მძარცველობის და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველ განსაკუთრებული რაზმის უფროსის თანაშემწედ; იმავე კანცელარიის რეგისტრატორი აქსენტი ბესარიონის ძე კვერკველია—ზემოხსენებული განსაკუთრებული რაზმის კანცელარიის გამგეთ და შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის მოხელე დავით ტიმოთეს ძე თავბერიძე—იმავე კანცელარიის რეგისტრატორად.

სამსახურში მიღებულია: ვარლამ გიორგის ძე ჯანუაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში კანცელარიის მოხელეთ დანიშვნით ამა წლის 2 აგვისტოდან და ელენა დავითის ასული ბერეკაშვილი, იმავე კანცელარიაში რემინგტონზე მომუშავედ დანიშვნით, ამა წლის 24 ივლისიდან.

განთავისუფლებულია: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ სპეკულიაციის, მძარცველობის და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველ განსაკუთრებულ რაზმის უფროსის მოვალეობათა აღმასრულებელი გედეონ ვლასის ძე დარახველიძე თანახმად მისი თხოვნისა ზემოხსენებულ თანამდებობის მოვალეობათაგან განთავისუფლების შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ნ. რამიშვილი,

დედანთან სწორია. განყოფილების უფროსი გ. თულაშვილი.

### ბრძანება

თბილისის სამოსამართლო პალატის პროკურორისა.

1 აგვისტო 1918 წ.

№ 14.

თბილისის სამოსამართლო პალატაში შტატების შემცირების გამო, იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, 1918 წ. 5 ივლისიდან საქართველოს ეროვნულ საბჭოს დადგენილების თანახმა 1 აგვისტოდან დათხოვნილია სამსახურიდან პალატის პროკურორის კანცელიარიის მოსამსახურე ნიკოლოზ დოროთეს ძე კოროტკოვი, სალიკვიდაციო დახმარების მიცემით.

№ 15.

პალატის პროკურორის კანცელიარიის მოსამსახურე, ივანე ვასილის ძე კაზაჩკოვი დათხოვნილია სამსახურიდან, თხოვნის თანახმად, 1918 წლის 1 აგვისტოდან.

№ 16.

ალექსანდრე იოსების ძე როგალინი, რომელიც თბილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარის ბრძანებით ამა წლის 29 ივლისიდან № 42 დროებით გამოგზავნილი იყო ჩემს კანცელიარიაში სასამართლოს თანამდებობაზე უმცროს კანდიდატად, 1 აგვისტოდან დროებით იგზავნება პალატის პროკურორის მდივნის თანაშემწის თანამდებობის ასასრულებლად მდივნის თანაშემწის, გოლენიშჩევ კუტუზოვის დაბრუნებამდე.

№ 17.

3 აგვისტო 1918 წ.

კანცელიარიის მსახურის შვილი, პავლე ნიკოლოზის ძე კოროტკოვი დაინიშნა სახელმწიფო სამსახურში, თბილისის სამოსამართლო პალატის პროკურორის კანცელიარიის მესამე ხარისხის მოსამსახურედ ამა წლის 3 აგვისტოდან.

პალატის პროკურორი ი. მ. დოლუხანოვი.

### ამონაწერები

თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებათა წიგნიდან.

1918 წ. 14 აგვისტოდან.

№ 95.

სასამართლოს ბოქაულს ბაშკიჩეთის მომრიგებელ განყოფილებისა, ზანოზოვსკის ეძლევა ორი თვის თავისუფლება ჯამაგირის მიცემით.

№ 96.

სასამართლოს ბოქაული კოვნოს საოლქო სასამართლოსი, ადამოვიჩი ინიშნება სასამართლოს ბოქაულად ცხინვალის მომრიგებელ განყოფილებისა.

№ 97.

სურამის მომრიგებელი განყოფილების მდივნის თანაშემწე ოგანეზოვი, 301 და 308 მუხ. ძალით დაშვებულია სასამართლოს ბოქაულის მოვალეობის ასრულებაზე სურამის მომრიგებელ განყოფილებაში.

სასამართლოს თავმჯდომარე პაცევიჩი.

### დადგენილება.

თფილისის სამოსამართლო პალატის უფროსის თავმჯდომარისა

20 ივლისი 1918 წ.

№ 47.

რადგანაც იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, თანახმად ეროვნულ საბჭოს დადგენილებისა, სამოსამართლო პალატაში უნდა შემცირდეს შტატი: სალიკვიდაციო დახმარებით სამსახურიდან დათხოვნილი არიან ამა წლის 3 ივლისიდან კანცელიარიის მოხელენი: ვასილ ილიას ძე ისტომინი, ივანე ანტონის ძე პეტროვსკი, გრიგოლ კარპის ძე ჩერნიში, მიხეილ ნიკოლოზის ძე ჟემბროვსკი, ვლადიმერ ივანეს ძე პირტახია. კანცელიარიის მოსამსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენი: ალექსანდრე იაგორის ძე გულულიანცი, ალექსანდრე რუბენის ძე ხეჯუბოვი, დანიელ ივანეს ძე მირგოროდი, გრიგოლ დიმიტრის ძე პუდოვკინი, ივანე ოსიპის ძე სადოვნიკინი, თედორე სტეფანეს ძე კოროტკი, ირაკლი ივანეს ძე კლიმი აშვილი, გიორგი ივანეს ძე ჟუკოვსკი, ილია მიხეილის ძე გრიშაევი, დარია გრიგოლის ასული დუმიტრაშკო, ლიუბა ალექსანდრეს ასული კატაგოშჩინა, ელისაბედ ვასილის ასული პეტროვსკაია, იულია დიმიტრის ასული იუდინა, ვერა მიხეილის ასული ანდრეევა, ანნა ვასილის ასულ იბელიავსკაია, ლიუდმილა ლეონიდის ასული ივანოვა, ნადეჟდა ვასილის ასული ვოლჩენკო, ოლღა ვლადიმერის ასული პავლიჩენკო, სერაფიმა ალექსანდრეს ასული ტომენკო, ნინო ტიხონის ასული სოკოლოვსკაია, სირანუშ სერგოს ასული სუსანოვა, ბარბარე ალექსანდრეს ასული განკევიჩი, ეკატირინე ვასილის ასული ისტომინი, სტანისლავა სტანისლავის ასული როსუნჩიკოვა და ალექსანდრა ავეტის ასული ტერ-შმოვანოვა. დაქირავებული მოსამსახურეები: ვასილი ანდრიას ძე პლახოტნიკოვი, ანტონ პავლეს ძე, ალქსენკო, ალექსანდრე ლევისძე ჩერნობაევი, ივანე თომას ძე კოლესნიკოვი, ელენე ადოლფის ასული ვოინოვა, ელენე ვასილის ასული პეტროვსკაია, ტატიანე გრიგოლის ასული ბეჟანოვი, მერი ლევის ასული ჩიკნავიროვი და მარიამ პეტრეს ასული ხალიბოვა.

გზირები: პეტრე სერგიენკო, რომანი კასინი, ნიკოლოზ კამისოვი, დიმიტრი ლეშჩონკო, ვასილი ტიმოფეევი, ივანე კატკოვი, ეფიმი ნემოვი, სერგო სიტნიკოვი, მიტროფანე შჩეგოლევატი, ივანე შერემეტიევი, დიმიტრი კაპილოვი და პეტრე ობიდინი.

დედანს ხელს აწერს უფროსი თავმჯდომარე მ. მ ღ ვ დ ე ლ ი შ ვ ი ლ ი.

## არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 22 აგვისტო.

ჩვენი სახელმწიფოს შინაური მდგომარეობა რომ უფრო და უფრო გარკვეულ ხასიათს ღებულობს და უკეთდესდება, რამდენადაც ამაზე შეიძლება ლაპარაკი დღევანდელი ისტორიის საშინელ პირობებში, ეს მტკიცდება უმთავრესათ ანარქიული მოძრაობის განელებით და წესრიგ მშვიდობიანობის თანდათან აღდგენით იმ ადგილებში, სადაც აქამდე ბოლშევიკური ჯანყი ყველაფერს ჰფარავდა.

სამეგრელოს გარდა, თითქმის ყველგან მყარდება მშვიდობიანი მოქალაქობრივი ურთიერთობა და მიმოსვლა. იმედია, სულ მალე დანარჩენი „განდგომილი" რაიონებიც მწვავედ იგრძნობენ თავის დანაშაულს ქვეყნის და თავისუფლების წინაშე და აღადგენენ და იცნობენ სახელმწიფოებრივი წყობილების საჭიროებას.

შინაური მდგომარეობის მოწესრიგებაში დაუფასებელ როლს ასრულებს ჩვენი მცირე რიცხოვანი ჯარი და სახალხო გვარდია.

ასეა თუ ისე სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მდგომარეობა ყველა შინაურ ფრონტზე საგრძნობლათ გაუმჯობესდა. და მით საქართველოს სახელმწიფოებრივი ძალ-ღონე განმტკიცდა და გაიზარდა.

არა ნაკლებ სასიამოვნოა ისიც, რომ სამხედრო ორგანიზაცია ის აღარ არის, რაც გუშინ იყო. სამხედრო მინისტრის განცხადებით ჯარის მოწყობის საქმე თანდათან უმჯობესდება. მობილიზაციის კანონი, რომელიც ეროვნულმა საბჭომ მიიღო, დღეს სასურველათ ტარდება. ახალი სამხედრო კანონების განხორციელებაც უზრუნველყოფილია წინასწარი მუშაობით და სამზადისით. ცხადია, გერმანელი სამხედრო ინსტრუქტორის გრაფ ვოლსკელეის ჩამოსვლა კიდევ უფრო გააუკეთესებს საქმეს.

ჩვენი სახელმწიფოებრივი მომავალი, ჩვენი რესპუბლიკის ხელუხლებლობა და შინაური თავისუფლება კარგათ გაწვრთნილი დემოკრატიული ჯარის შექმნაზე დამოკიდებული. და ჩვენც ყველაფერი ჩაგვპუტუნებს, რომ ამ მხრით ჩვენს ქუჩაზედაც მალე გაჩაღდება დღესასწაული.

ჩვენს პარლამენტში ბევრი შეკითხვა მოვისმინე გასაკუთრებით მემარჯვენე ოპოზიციის მხრიდან, დიდს მრავალ სიტყვაობას ჰქონდა ადგილი ჩვენი მართვა-გამგეობის სხვა და სხვა დარგის შესახებ.

მაგრამ სიმართლე გვაიძულებს ვთქვათ, რომ არც ერთს შეკითხვას არ გამოუაშკარავებია, არც ერთს შემკითხველს არ დაუმტკიცებია, უკანსვლა სახელმწიფოებრივ მართვა გამგეობის შექმნის პროცესში.

და თუ ასე უცებ, ერთის თვალის დახამხამებით ყველაფერი ისე არ არის მოწყობილი, როგორც სასურველია, ამის გასამართლებელ საბუთს გვაძლევს თვით მთელი ჩვენი ცხოვრების საყოველთაო მოუწყობლობა და მოუწესრიგებლობა. რათ ივიწყებენ ამ გარემოებას ჩვენი „ოპოზიციონერები"?

თქვენ პოლიტიკური შემოქმედება გვაჩვენეთ, მით უფრო ამნაირ დროში, თორემ კრიტიკა, და ისიც სიტყვიერ ჯირითისებური ძალიან იოლი საქმეა.

დასაფიცავი როდია, რომ ჯერ გაწყობილი ადმინისტრაცია, სასამართლო და სხ. არ გვაქვს. ვინ უარჰყოფს, რომ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში ჯერ კიდევ ბევრი ბოროტებაა ძირიან-ფესვიანათ ამოსაგდები, რომ დიდი სახელმწიფოებრივი გაწმენდა, დეზინფექციაა საჭირო რესპუბლიკის და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფათ.

მაგრამ ვერც იმას დავფიცავთ, რომ გუშინდელს დღეს ვჯობივართ და დღევანდელს ხვალ ვჯობებთ.

ყველაზე უფრო სადარდელათ სჩანს ჩვენი მდგომარეობა საფინანსო და სასურსათო საკითხებში, რომელიც მთავარ ძარღვს წარმოადგენს ერის ცხოვრებაში.

საფინანსო მდგომარეობას სულ ცალკე შევეხებით, მხოლოდ აქ გაკვრით ვიტყვით, რომ გერმანიის დახმარებით და საგარეო სესხის აღებით ჩვენი საფინანსო სისტემა უთუოთ საუმჯობესოთ შეიცვლება და, მგონია, საფინანსო ტკივილებს აღარ უნდა გადავყვეთ.

სასურსათო საქმეში რაღაც საოცარი გაუგებრობა და წინააღმდეგობა არის გამეფებული. ჩვენში დღეს სურსათი არის და ამავე დროს არ არის. სურსათი არის, ხოლო დამშევა მძვინვარებს და ყველას სიძვირე აღჩობს.

აქ ძირითადი ზომებია საჩქაროთ მისაღები ხალხის მდგომარეობის შესამსუბუქებლათ. თუ საზოგადოება ასე დაიმშა და სპეკულაციის ობობამ ყველაფერი ამოსწუწნა ხალხის სხეულიდან, ყოველი შრომა ცხოვრების სხვა მხარეების მოსაწყობათ დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს.

არ ვიცით რას გვეტყვის სასურსათო საქმეში გერმანელი მრჩეველი, მაგრამ მდგომარეობას ძალიან შეუწყობს ხელს საქართველოს საზღვრების დაკეტვა, რამდენადაც შესაძლებელია, გადასატანგადმოსატან საშუალებათა და მიმოსვლის გაადვილება და სპეკულიაციის სასტიკი დევნა. საქართველოში იმდენი მოსავალია წრეულს, რომ თუ, ახლავე გამაფრთხილებელი და გონიერი ზომები იქნება მიღებული, სასურსათო კრიზისს ადვილათ გადავიტანთ.

უყურადღებოთ ვერ დავტოვებთ ოსეთის და აფხაზეთის პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესობას. როგორც ერთგან თუ მეორეგან გაიმარჯვა უფრო ფრთხილმა, შორს მჭვრეტელმა და დემოკრატიულმა პოლიტიკამ. მათი ამგვარი თვითგამორკვევის პროცესი ჯერ კიდევ სწარმოებს, არ დასრულებულა.

ხოლო უკვე გამოირკვა, რომ ერთიც და მეორეც საქართველოს საზღვრებში დარჩება და რესპუბლიკასთან იქნება ორგანიულათ და პოლიტიკურათ დაკავშირებული.

მაგრამ ამ მნიშვნელოვან საკითხს ცალკე შევეხოთ შემდეგ. ამასობაში სტამბულის კონფერენციის მუშაობაც გამოარკვევს ზოგ სადაო ტერიტორიალურ საკითხებს, რაც დიდათ შეუწყობს ხელს მთლიან რესპუბლიკანურ საქართველოს სახელმწიფოებრივ შემოქმედებას...

## რუსეთის ვითარება.

საქართველოს და რუსეთს შორის, როგორც ვიცით, შეწყვეტილია მიმოსვლა, არ მუშაობს ფოსტა, რის გამო არც გაზეთი და არც დეპეშა რუსეთიდან აღარ მოდის. ეს გარემოება, რასაკვირველია, მეტად სამწუხაროა, რადგანაც რუსეთი ამ ჟამად ყოველის მხრით დიდ კრიზისს განიცდის და ჩვენთვის, ქართველებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს მას, რომ თავის დროზე ვიცოდეთ ამ მეზობელ სახელმწიფოს კრიზისის ყოველივე ფაზისი. რადგანაც ამნაირად პირდაპირ ცნობებს მოკლებულნი ვართ, ჩვენ ვსარგებლობთ ევროპიული პრესით, განსაკუთრებით გერმანული პრესით, რათა მკითხველთ ვაუწყოთ ხოლმე რუსეთის დღევანდელი ვითარება.

ჩვენ წინ სძევს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანოს „Vorwart"-ის № 209, რომელშიაც შემდეგს ვკითხულობთ: 20 ივლისს მოსკოვის საბჭოს და მუშათა ორგანიზაციების აღმასრულებელ კომიტეტების შეერთებულ სხდომაზე, რომელსაც ორი ათასი წევრი დაესწრო, ლენინის და ტროცკის სიტყვების შემდეგ, მიუღიათ რეზოლიუცია:

1. „სოციალისტური სამშობლო განსაცდელშია".

2. „მიმდინარე მომენტის უმთავრესი საკითხია ჩეხო-სლოვაკების მოგერება დ პურის მოტანა".

3. „მუშათა მასაში ენერგიული აგიტაციის წარმოება, რათა მან შეიგნოს საქმის სერიოზული ვითარება".

4. „ბურჟუაზიის მიმართ, რომელიც ყველგან რევოლუციის წინააღმდეგია, თვალყურის დევნება უნდა გაძლიერდეს. საბჭოს მთავრობამ უნდა დაიფაროს ზურგი. ამ მიზნისათვის საჭიროა:

ბურჟუაზია კანტროლის ქვეშ დავაყენოთ დ პრაქტიკულად მის წინააღმდეგ ცხოვრებაში მასიური ტერორი გავატაროთ.

5. „საერთო ლოზუნგები უნდა იყოს: სიკვდილი ან გამარჯვება!"

საჭიროა „პურის მოსატანად მასიური ექსპედიციების გაგზავნა, მასისათვის სამხედრო ცოდნის შეძენა, საერთოდ მუშათა შეიარაღება, ყოველივე ძალის ამოძრავება კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიასთან საბრძოლველად".

მეტად დამახასიათებელია აქ მოყვანილი რეზოლუცია, რომელიც უტყუარი მაჩვენებელია რუსეთში პოლიტიკური დ სოციალური მდგომარეობის უკიდურესობამდე გამწვავებისა. ეჭვს გარეშეა, რომ ღება ბოლო რუსეთის დღევანდელ მთავრობის ბატონობას. უკიდურესი ზომები, რომლებისათვისაც ლენინს და ტროცკის მიუმართავთ, რუსეთში არსებულ დიდ არევდარევას კიდევ უფრო გააძლიერებენ და მით საბჭოს მთავრობის დამხობის დროს მოაახლოვებენ.

## პრესის მიმოხილვა.

ჩვენდა საბედნიეროდ ნელ-ნელა მთელდება საქართველოს რესპუბლიკის ჭრილობები. თანდათან უბრუნდებიან თავისუფალ და კეთილ დედას „ამაგის უარმყოფნი" შვილები. დღემდის საქართველოს არ შეეძლო ტკივილების უგრძნობლად მოეგონებინა აფხაზეთის საბჭოს ღალატი, მაგრამ დღეს ამ ტკივილებს სიხარულის ცრემლები არ აყუჩებს. აფხაზეთის ახალი ეროვნული საბჭო აღიარებს, რომ ის კავშირს დაიჭერს საქართველოსთან და მის საზღვრებში შევა, როგორც მისი ნაწილი.

„ერთობა" ამის შესახებ სწერს:

ჩვენ ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე ვდგევართ და ამიტომ დამშვიდებით შევხვდებით აფხაზეთის ხალხის ნება-სურვილებს. ჩვენ მხოლოდ საჭიროთ ვთვლით, რომ ხალხმა თავისუფლად გამოსთქვას თავისი ნება-სურვილები. ეჭვი არ არის აფხაზეთის ხალხი ოსმალეთის ორიენტაციას დაჰგმობს და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დაუჭერს მხარს. კითხვა სწორედ ასე სდგას: ოსმალეთი თუ საქართველო. აფხაზეთს რომ დამოუკიდებლათ არსებობა არ შეუძლია, ამას ყველა გრძნობს. დიდი სახელმწიფოები და ერები ცდილობენ ერთ კავშირში შესვლას და რა იქნება პაწაწა აფხაზეთი.

მალე ველირსებით აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს თაოსნობით მთელი ხალხის ყრილობის მოწვევას და იმედი გვაქვს ეს ყრილობა იმედებს არ გაუმტყუნებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

***

„ტრუდოვოე ზნამია" ეხება ინგლისელების ბაქოში შესვლას და სწერს:

ინგლისელების ბაქოში ყოფნა უტყუარი ფაქტია.

დღეიდან ბაქოს ფრონტზე ჩვენ გავხდებით მოწამე დიდი ომისა, რომელშიაც აუცილებელია გერმანელების მონაწილეობა. ასეთ პირობებში, თავისთავად ცხადია, ჩვენ კვლავ გვაწუხებს ამიერ - კავკასიის ერთა ბედი.

ჩვენ გვსურს ერთი წუთით დავიჯეროთ რომ „ტრუდოვოე ზნამიელები" მეტად სწუხან ამიერ - კავკასიის ერთათვის, მაგრამ ის რჩევა, რომელსაც ისინი აწვდიან ამიერ - კავკასიას ამ რწმენას გვიკარგავს.

წინასწარ ვსჭვრეტთ რა, რომ ამიერ-კავკასიის ფრონტზე მალე ევროპის ომის სურათები განმეორდება, მოუწოდებთ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას დაუბრუნდნენ რუსეთის რევოლიუციის ძველ ასპარეზებს, რომელთაც შეუძლიანთ უზრუნველ ჰყონ ადგილობრივ ერთა თავისუფალი განვითარება.

ჩვენ არ ვიტყვით, რომ ამიერ-კავკასიის ერთა წინაშე საშინელი პერსპექტივები არ იხატებოდეს, მაგრამ ამ დროს ასეთი რჩევა ხომ მოსმენადაც არა ღირს. ნუ თუ დარწმუნებული არ არის „ტრუდოვოე ზნამია", რომ თუნდაც გადიქცეს იგი მანათობელ ცეცხლის სვეტად ამიერ-კავკასიის ერებს ვერ გაატარებს თვალ უწვდენელ უდაბნოს და უკვე არ არსებულ რუსეთის რევოლიუციის ძველ პოზიციებს ვერ დაუბრუნებს.

## გერმანული პრესა.

გერმანიის მოწინააღმდეგე კოალიციაში მკვდართა, დაჭრილთა და ტყვეთ წაყვანილთა რაოდენობის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა „Berline Tarblalt"-ი. ეს ცნობები მას ვოლფის სააგენტოსაგან მიუღია.

გაზეთი სწერს: 1917 წ. ორ აგვისტომდე მოკავშირეთა ზარალი, სულ მცირედი რიცხვით ნაანგარიშევი, უდრიდა 18 მილლიონს. მას შემდეგ დიდი, შეტაკებების და დამარცხებების შემდეგ ეს რიცხვი 25 მილლიონამდე ავიდა. პეტროგრადის პრესის კამისარის ბ. კუზმინის სიტყვით რუსეთის ზარალი 1918 წ. 5 ივლისამდე შეადგენდა $4^1/_2$ მილლიონ მკვდარს, 6 მილლიონ დაჭრილ და დამახინჯებულთ და 3 მილლიონს ტყვეს. საფრანგეთმა და ინგლისმა 1917 წელში მარტო ფლანდრიის ბრძოლაში დაჰკარგეს ნახევარ მილიონზე მეტი და 1918 წ. გერმანიის შეტევის დროს პირველი სამი თვის განმავლობაში კიდევ ერთი მილლიონამდე. თუ ვიანგარიშებთ „შმენ-დედამ"-ის ოქტომბერში ფრანგების ზარალს და 1917 წ. ნოემბერში „კამბრაი"-სთან ინგლისელების ზარალსაც და მიუმატებთ ამას აგრეთვე სხვა და სხვა ადგილებში ამ ორი სახელმწიფოს ზარალს, მივიღებთ საფრანგეთისათვის მკვდარს, დაჭრილს და ტყვეთ წაყვანილთ ხუთ მილლიონზე მეტს და ინგლისისათვის კი 2,300,000. (ორ მილლიონ სამასი ათას.). დიდია აგრეთვე იტალიის ზარალი, რომელიც 1917 წ. ორ აგვისტომდე უდრიდა 1,600,000 (მილლიონ ექვსასი ათას). ამის შემდეგ ომებში მან დაჰკარგა 800,000. (რვა ასი ათასი). სერბიაში მთელი მოზარდი ახალგაზდობა ბრძოლის ველზე გამოიყვანა და უმეტესობა ამ ახალგაზდობისა დაიღუპა. დიდია ზარალი აგრეთვე ამერიკისა, ბელგიისა და მონტენეგროსი. ყველა მათი რიცხვი რომ ერთად შევაერთოთ, შედგება 25 მილლიონ.

„B. Tag." ამ ნომერში არ აღნიშნავს ცენტრალურ სახელმწიფოთა ზარალს. ეს დიდათ საინტერესო იქნება და საერთო დასკვნების გამოსაყვანათ და იმ უბედურების გასათვალისწინებლათ, რომელიც მოუტანა და მოაქვს თანამედროვე ომს მთელ კაცობრიობისათვის.

## იმპერატორ ვილჰელმ მეორის მოწოდება გერმანიის ჯარის და ფლოტის მიმართ

ოთხი წლის ომის სერიოზული დრო უკვე თქვენს უკან დარჩა. გერმანელი ხალხი თავის ერთგული მოკავშირეებით, გამსჭვალული თავის სამართლიანი საქმით, დაყრდნობილი თავის ბასრ ხმალზე, მოიმედე მოწყალე ღმერთის შემწეობისა, ძლევა მოსილობით ეწინააღმდეგებოდა ურიცხვ მტერს.

თქვენმა მრისხანე შეტევის სულმა ომის პირველ წელს ომი მტრის ტერიტორიაზე გადაიტანა და მით დაიფარა ჩვენი სამშობლო ომის საშინელებისა და განადგურებისაგან. ომის მეორე და მესამე წელიწადში თქვენი განმანადგურებელი შეტევის შემწეობით აღმოსავლეთით გატყდა მტრის ძალა. ამავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს დასავლეთის ფრონტზე თქვენი ამხანაგები ძლევა-მოსილნი მხნეთ უმკლავდებოდენ რიცხვით მეტ მტერს. ომის მეოთხე წელიწადმა ამ გამარჯვებათა ნაყოფად მოგვიტანა ზავი აღმოსავლეთში.

უკანასკნელ თვეებში მოგებული ომები გერმანიის ისტორიაში უაღრესად სასახელო მოქმედებათა რიგს ეკუთვნიან.

თქვენ უძნელეს ბრძოლის წინ სდგეხართ. მტრის ძალთა სასოწარკვეთილებით სავსე მოძრაობა როგორც დღევანდლამდის, თქვენი მამაცობის მეოხებით არარაობად იქნება ქცეული. ამაში დარწმუნებული ვარ მე და ჩემთან ერთად მთლად ჩვენი სამშობლო. ამერიკის ჯარის რიცხვითი უპირატესობა ჩვენ ვერ გვაშინებს, რადგან ჩვენთვის გადამჭრელი მნიშვნელობა სულს აქვს. ამას გვასწავლის ჩვენ პრუსიის და გერმანიის ისტორია, ამასვე გვასწავლის დღემდე ამ ომის მიმდინარეობა.

ჩემ ჯართან ერთგულ ამხანაგად სდგას ჩემი ფლოტი, რომელიც გაცილებით მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლის დროს ომის მოგების შეურყეველი სურვილით არის გამსჭვალული.

ჩვენი მტრების, ზღვის უდიდეს სახელმწიფოთა გაათკეცებულ ენერგიის წინააღმდეგ იბრძვიან ნაყოფიერად ჩვენი წყლის ქვეშ მავალი ნავები. შორეული ზღვის ფლოტი მუდამ მზადაა საბრძოლველად და დაუღალავი შრომით უკაფავს გზას გახსნილ ზღვისაკენ წყლის ქვეშ მავალ ნავებს და სახელმწიფოს ნაპირების დამცველებთან ერთად უზრუნველ ჰყოფენ წყაროს მათი ძალისას.

სამშობლოს დაშორებული ჩვენი დამცველი ჯარის სულ მცირე რიცხვოვან გმირთა ჯგუფი მედგრად უდგია წინ გაცილებით უფრო მრავალ-რიცხოვან მტერს.

ღრმა პატივისცემით ჩვენ ვიგონებთ მათ სახელს, ვინც თავის სიცოცხლე სამშობლოს შესწირა.

ბრძოლის ველზე მყოფ მოძმეებისადმი მზრუნველობით აღვსილი, შინ ხალხი მთელ თავის ძალას, იკლებს რა საზოგადოთ თავისათვის ყველაფერს, საერთო დიდი საქმის სამსახურისათვის სდებს.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ და კიდევაც ვიბრძოლებთ მანამდე, სანამ მტრებს ჩვენი განადგურების სურვილი მოესპობათ. ჩვენ ამისათვის ყოველნაირ მსხვერპლს გავიღებთ და ყოველგვარ ძალის უკიდურესობამდე გადიდებას ავიტანთ. ამნაირ სულიერ განწყობილებაში ჯარი და სამშობლო განუყოფელია და ერთად არიან გადაბმული. თქვენი ერთსულოვნება, თქვენი შეურყეველი სურვილი, გერმანიას ამ ბრძოლის დროს გამარჯვებას მოუტანს. ღმერთმა ინებოს ეს!

## ინგლისელები ისპაჰანში.

ინგლისელები კაი ხანია ისპაჰანში ადგენენ სპარსელებისაგან რაზმებს, რომელნიც „სამხრეთ-სპარსელების მსროლელთა“ რაზმების სახელით არიან მათ მიერ მონათლული. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყეთ, რომ იმ სპარსელ ოფიცრებს, რომლებიც ამ რაზმებში შესვლაზე უარს აცხადებენ, ინგლისელები სასტიკათ ექცევიან და ბევრი მათგანი კიდევაც დახვრიტეს. როგორც სჩანს, ინგლისელებს ისპაჰანში თავის თავი სრულ ბატონად მიაჩნიათ.

## ევ. პ. გეგეჭკორთან.

ჩვენმა თანამშრომელმა ინახულა ბერლინიდან ახლად დაბრუნებული ჩვენი დელეგაციის წევრი ევ. გეგეჭკორი, რომელმაც ზოგიერთი ცნობები მოგვცა.

ჩვენს დელეგაციას უმთავრესად ორი მიზანი ჰქონდა დასახული.

პირველი-გერმანიის და მის მოკავშირეების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, მეორე-ბათომის საზავო ხელშეკრულების გადათვალიერება, რადგანაც ამ ხელშეკრულების თანახმა და კმაყოფილი არა ვართ, რის შესახებაც ჩვენი დელეგაციის მოსაზრება განუცხადე სტამბულის პრესის წარმომადგენლებს.

როგორც ბერლინში გამოირკვა ამდენხანს თუ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება დაგვიანდა ეს აიხსნება საერთო საერთაშორისო კონიუნქტურით.

თუმცა, ამ ბოლო დროს, გერმანიის ოფიციალური წრეების წარმომადგენლებმა გვამცნეს: გერმანიასა და ბალშევიკებ შორის მოხდა შეთანხმა, რომ ბალშევიკები პროტესტს არ განაცხადებენ, როცა ბერლინი აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობასო.

კონფერენციის მოწყობა დაგვიანდა იმიტომ, რომ გერმანიასა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება გრძელდება და სანამ რაიმე „მოდუსს“ არ შეიმუშავებენ საკონფერენციო მუშაობა არ დაიწყება.

ამის შესახებ, 20 ივლისს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მოგვცა პასუხი, რომ შეთანხმება მოხდება ერთი თვის შემდეგო.

რაც შეხება სოციალისტურ წრეებსა და აგრეთვე განურჩევლად თითქმის ყველა პარტიებს, საქართველოს რესპუბლიკის შექმნას და დამოუკიდებლად გამოცხადებას დიდის სიმპატიით და გულწრფელათ ეკიდებიან.

მე მრწამს, რომ ეს გულწრფელი სიმპატია თავდებია ჩვენი რესპუბლიკისა და გერმანიის შორის კეთილმეზობლურ დამოკიდებულების განმტკიცებისათვის.

საერთოდ გერმანიის მდგომარეობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

იქაურ ორგანიზაციას უმწვერვალეს ფორმის სახეობა აქვს მიღებული. მთელი სახელმწიფოს აპარატი ისე მუშაობს, როგორც საათის უნაკლო მექანიზმი.

მართალია გერმანიას სურსათის ნაკლებლობა ემჩნევა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მთელი ყურადღება ფრონტისკენ და მუშებისაკენ არის მიქცეული, რომლებიც დანაკლისს არაფერში არ გრძნობენ.

სამაგიეროთ „ობივატელს“ ბევრი რამ აკლია, მაგრამ ითმენს სამაგალითო თავგანწირულებით და უცხო თვალს არ შეუძლიან შეატყოს როდის გაწყდება ეს მოთმინების ძაფი, ან გაწყდება კი?

საერთოდ ამ ომით ხალხი დიდათ შეწუხებულია, მაგრამ იქაურობის ნახვის და დაკვირვების შემდეგ, მე დავრწმუნდი, რომ ამ შეწუხებას არავის არ აგრძნობინებს და დიდის გმირობით გადაიტანს.

# ეროვნული საბჭო

### მკათათვის 30-ს სხდომა მე-25-თე.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი. მოქალაქენო, თქვენ დამეთანხმებით, რომ დაუსრულებელი ლაპარაკი საეჭვო არის, რომ ხელს უწყობდეს სახელმწიფოს აღშენებლობას.

განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას იმ საკითხების შესახებ, რომელთა სასურველად გადაწყვეტა მეტათ საჩქაროა საქართველოს რესპუბლიკის საერთო საქმისთვის.

ამისთვის უნდა დაეთანხმოთ მთავრობის განცხადებას, რომ საჭიროა საქართველოს საზღვრებში დაჩქარებით მოხდეს იმ დაწესებულებათა ლიკვიდაცია, რომელთა არსებობა უთუოდ ხელს უშლის საერთო აღშენებლობას.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით იურიდიულ კომისიას. ის, რაც ხათქვამია ამ კახონ-პროექტში მთავრობას სრულიად აკმაყოფილებს.

აქ იყო ერთი გამოლაშქრება, რომელიც უახლოვდება ცილისწამებას (გ. ვეშაპელი ჩვენ სავსებით ვეთანხმებით იურიდიულ კომისიას. ის რაც ხათქვამია ამ კანოხ-პროექტში დაამტკიცეთ), დიახ ბატონო ვეშაპელო დავამტკიცებთ. ცილისწამება კი იმაში გამოიხატება, რომ თითქოს არსებობდეს რაიმე თახხა, რომელიც არავითარ კონტროლის ქვეშ არ იმყოფება, რომ ვითომც ეს თახხა იმყოფება რევოლუციონურ ორგახიზაციების ხელში.

მე უნდა განვაცხადო, რომ სიმართლეს მოკლებულია იმის თქმა თითქოს სახელმწიფოს ამ რევოლუციურ ორგანიზაციების მიერ ისეთი რამ კეთდებოდეს, რასაც რითიმე მაინც მოჰქონდეს ზარალი. ამის მტკიცება, მეტი რომ არა ვსთქვათ, უნიადაგო და ზედმეტია.

ბატონ ვეშაპელს არ ჰსცოდნია თუ რა პირობებით იყო მიღებული ის 30 მილიონი მანეთი, რომელიც იყო გამოგზავნილი სახალხო კომისართა მიერ. ეს ფული უნდა ჰქონოდა არა ამიერკავკასიის კომისარიატს, უნდა ყოფილიყო არა ამიერკავკასიის კომისარიატის ხელში, რადგან კომისართა საბჭო ამბობდა, რომ კონტრრევოლუციონურ მთავრობას ფულს არ მივცემო, არამედ უნდა ყოფილიყო განსაკუთრებულ კომისიის ხელში. ამ კომისიაში შედიოდნენ წარმომადგენლები კორპუსებისა და იმ სამხედრო ორგანიზაციებისა, რომელთა დაწესებულების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს.

როდესაც ეს ლიკვიდაცია დამთავრდება, მე დარწმუნებული ვარ, შესაფერი კომისია მისცემს განმარტებას იმ წერილის ავტორს, რომლის წერილის შესახებაც ამდენ ხანს ილაპარაკა აქ ვეშაპელმა.

საფრონტო ლიკვიდაციისა და იმ დადგენილების შორის, რომელიც ჩვენ უნდა მივიღოთ არავითარი კავშირი არ არსებობს.

თუ საქართველოს ეროვნული საბჭო დაინტერესებულია იმაში, რომ მოხდეს ლიკვიდაცია სხვა და სხვა ისეთ დაწესებულებათა, რომელნიც თავიანთ არსებობით, როგორც უკვე განვაცხადე, ხელს უშლიან ჩვენ სახელმწიფო-აღმაშენებლობას, იგი მიიღებს იურიდიულ, კომისიის მიერ წამოყენებულ კანონპროექტს. ჩვენ გადაჭრით უნდა შევხვდეთ ისეთ ცდას, რომელიც აფერხებს კანონ-პროექტს და სავსებით უარ ვჰყოთ ის უსარგებლო უვარგისი იარაღი, რომელითაც თქვენ იბრძვით ამ დაწესებულებების წინააღმდეგ. (ტრიბუნაზე ადის ვეშაპელი, ხმები მარცხნივ: მესამედ ლაპარაკი ერთ და იმავე საგანზე არ შეიძლება. არსენიძე. რეგლამენტი დარღვეულია).

გ. ვეშაპელი: ბატონებო! მე ვსარგებლობ რეგლამენტის იმ მუხლით, რომელიც ამბობს, მთავრობის წევრის განმარტების შემდეგ, კამათი ხელახლა იხსნებაო და ვიღებ სიტყვას, რომ არ დავტოვო უპასუხოთ ფორმალური ოტვოდი, ჩემი მოსაზრების წინააღმდეგ და თავის მართლება სოციალ-დემოკრატიულ მინისტრისა.

თავმჯდომარე. ინებეთ!

გ. ვეშაპელი. ბატონებო, თუ ამბობთ, რომ ფული ბალშევიკების მთავრობამ განსაკუთრებული წესით გაგზავნა და ამიერ-კავკასიის ან საქართველოს მთავრობა ამ მილიონებს ვერ ჩაიბარებდაო, ბატონებო ორში ერთია, ან მთავრობას უნდა მიეღო ან და ეს ფული იმ საქმეზე, რომლისათვისაც ბალშევიკებმა გამოგზავნეს, ისე უნდა დახარჯულიყო, როგორც ამას გამომგზავნელი თხოულობდა— ესე იგი უნდა გადაცემოდა თვით რუსის ფრონტის ორგანიზაციას... ფული კი არც მთავრობას ხვდა და არც ფრონტს, როგორც ამას ამოწმებს საგანგებო კოლეგიის წევრი ფლეიშერი გაზეთ „ტრუდოვოე ზნამია“-ში... რაზე იხარჯებოდა ან რაზე დაიხარჯება მუშათა საბჭოს მიერ გადამალული მილიონები არავინ იცის.. არავითარი ანგარიში არა სჩანს... პასუხის გება კი მაინც საქართველოს დაატყდება თავს... ამიტომ მე მივაქცევ ყურადღებას ამ საქმეზე საგანგებოდ ეროვნულ საბჭოს მიერ არჩეულ კონტროლიორისას; დაე მან გამოიძიოს ეს საქმე სახელმწიფოს ინტერესების მიხედვით და მაშინ გავიგებთ, თუ ვინ არის მართალი და ვინ არის ცილისმწამებელი?

რ. არსენიძე (ს. დ.) (ადგილიდან) რეგლამენტის დარღვევის გამო.

თავმჯდომარე. ინებეთ.

რ. არსენიძე. 91 მუხლი რეგლამენტისა ამბობს, რომ მომხსენებლის გარდა ერთსა და იმავე საგანზე არავის შეუძლიან ილაპარაკოს ორზე მეტჯერ. მართალია აქ ბატონმა ვეშაპელმა ბრძანა, რომ მთავრობის განმარტების შემდეგ კამათი ხელახლა იხსნებაო, მაგრამ ეს ასე არ არის: მთავრობის განმარტების შემდეგ კამათი იხსნება მაშინ, როდესაც მთავრობამ სხვა საგანზე წამოაყენა კითხვა.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, დღეს აქ ასეთი ახალი კითხვა არ ყოფილა წამოყენებული მთავრობის მიერ. არც თუ კამათი ყოფილა შეწყვეტილი, რომ კამათის განახლება მივიღოთ მხედველობაში. ვეშაპელმა ამას ანგარიში არ გაუწია და რეგლამენტი დაარღვია.

თავმჯდომარე. მე ასე გავიგე მუხლი და, თუ აქ რეგლამენტის დარღვევაა ეს შენიშვნა მე უნდა მეკუთვნოდეს და არა ვეშაპელს, ვეშაპელი აქ არაფერ შუაშია, რადგან მე მივეცი მესამედ ლაპარაკის უფლება.

თუ ასე ამას ოქმში შევიტანთ.

სიტყვა ეკუთვნის ეროვნულ საბჭოს წევრს ბატონ ირაკლი წერეთელს.

ირ. წერეთელი (ს. დ.) მე მგონია, რომ საბჭოს წევრი არსენიძე სულ ტყუილად აღელდა. აქ. ერთ და იგივე საგანზე არ ულაპარაკნიათ, აქ სულ სხვა და სხვა საგანზე იყო ლაპარაკი. პირველად აქ სთქვეს რატომ მთავრობამ არ მოითხოვა ის ფული, რომელიც იყო გამოგზანილი სახალხო კომისართა მიერ. თქვენს პირველ სიტყვიდან გამოდის, რომ ვილაცას მიუთვისებია ფული საერთო საჭიროებისათვის და მთავრობა კი ხელს აფარებს. ასე გამოდის ბატონო ვეშაპელო. ამას ბრძანებთ ამ ტრიბუნიდან რომ დასტოვოთ გაუგებრობა. ამიტომ არის, რომ თქვენ გიხდებათ ამ ტრიბუნიდან ყალბი ბრალდებით გამოხვიდეთ (გ. ვეშაპელი. მოღალატეობის შემდეგ რა დიდი რამეა..) ეს არის შედეგი ყალბი დებულების. რაც შეეხება მოღალატეობას ჩვენი მსაჯული არის საზოგადოება, ჩვენ ამ ტრიბუნიდან არასოდეს არ წამოგვიყენებია ისეთი ბრალდება, რომ მის გამეორება გვიძნელდებოდეს. მაგრამ დაუბრუნდეთ საკითხს. თქვენი პირველი სიტყვიდან ასე გამოდიოდა, თითქოს მთავრობა ხელს აფარებდეს რაღაც უკანონობას, მეორედ კი სთქვით შეინახონ ხაზინაში ფულიო. მეორე მოთხოვნა: აართვას მთავრობამ ფულიო. რაც შეეხება არსებითად საკითხს მე უნდა აგიხსნათ შემდეგი. რა თქმა უნდა როდესაც ფულს უგზავნიან საქართველოს მთავრობას და იგი გამოიყენებს საერთო საჭიროებისათვის შემდეგ ეს მთავრობა აგებს პასუხს ყველაფერზე. ნამდვილად ასე არ იყო. ფული რუსულ მთავრობისაგან საქართველოს მთავრობას არ მოსვლია. აქედან ცხადია ამ ფულის პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობას არ აწევს. ეს უკვე განმარტებულია შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, თუმცა თავისთავად ცხადი იყო, რადგან ფულის გამომგზავნელთა აზრით ფული უნა მიეღოთ, ბალშევიკებს, ხოლო ქართველი ერის წარმომადგენლები არ გამოდგნენ ბალშევიკები. თუ ვის ხელშია ეხლა ის ფული ჩვენ არ ვიცით. და ან რა მოვალენი არიან, რომ ქართველმა პარტიებმა დაიწუნოს ის ანგარიში, რომელიც წარდგენილი იქნება იქ, ფულის გამომგზავნელებთან იმ რევოლიუციურ ორგანიზაციების მიერ, რომელთაც მოიხმარეს ეს ფული.

მაგრამ თქვენ ბატონო, ვეშაპელო, დაჩვეულხართ ანგარიშებს ეროვნულ საბჭოს წინაშე, და აი დღეს გაკვირვებთ ის გარემოება, თუ როგორაა რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო კონტროლს უწევს მთავრობასო. ბატონებო, კონტროლს უწევს მთავრობას არა მარტო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, არამედ მთელი ქართველი ერი. მერე განა რა არის აქ გასაკვირველი. განა თქვენი პარტია, ეროვნულ დემოკრატიული პარტია რომ შეიკრიბოს და სთქვას დღეიდან მე კონტროლს უწევ მთავრობასო, ამაზე ვინმე წინააღმდეგი გახდება. მაგრამ ჯერ კიდევ გაუგებარი ყოფილა „ასეთი საანბანო „ჭეშმარიტება საქართველოს „ზოგიერთ ჩამორჩენილ ნაწილებისათვის. ის, რაც იციან მუშათა საბჭოებმა—ჯერ კიდევ გაუგებარი ყოფილა თქვენთვის. საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ყველა ორგანიზაციებს აქვთ უფლება თვალყური ადევნონ მთავრობის მოქმედებას. ეს არ არის უზურპაცია მთავრობის უფლებების. განა თქვენი პარლამენტი არ უწევს ანგარიშს მთავრობას. განა თქვენ არ შეგეძლოთ გამოგეცხადებინათ ის რაც მუშათა საბჭომ მიიღო? (ხმები მარჯვნიდან: ჩვენ ამაზე არ ვიყვირებდით) საუბედუროდ მართლა ყოფილა საჭირო ყვირილი, რომ რამე შეასმინო ჩვენს საზოგადოების ჩამორჩენილ ნაწილს.

ბატონებო! რევოლიუციურ ორგანიზაციებმა გადადგეს ისეთი ნაბიჯები, რომელთა დიდ მნიშვნელობას ისტორია ღირსეულად დააფასებს.

დღეს ერთად-ერთი კუთხეა, რომელმაც შეინარჩუნა სახე სახელმწიფოებრივი. ესაა ჩვენი მხარე, საქართველო. ჩვენ რომ მთავრობა ქართული გვყავს, იმიტომ რომ იგი პირველ ყოვლისა ქართველ ხალხმა შეჰქმნა, რომ დემოკრატიამ სახელმწიფოს ჩაუყარა ნიადაგი.

თქვენ კი, ბატონებო, ვინც ასე ულირსად იხსენიებთ რევოლიუციურ ორგანიზაციებს, თქვენ გასცემთ პასუხს ისტორიას, რომ ყოველივე სიტყვის გამოყენება გსურთ მხოლოდ იმისთვის, რომ რევოლიუციურ ორგანიზაციებს ჩირქი მოსცხოთ და სახელი გაუტეხოთ! (ტაში)

გ. ვეშაპელი. ლაპარაკი აქ ფულზეა!

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

იეს. ბარათაშვილი. ეს კანონპროექტი ნათლად გააშუქა არსენიძემ. მოიწონა შინაგან საქმეთა მინისტრმა. საინტერესოა რა სთქვა ვეშაპელმა ამ კანონ-პროექტის შესახებ? ვეშაპელს ამ კანონპროექტის შესახებ არსებითად არა უთქვამს რა და მომხსენებელი მოვალე არ არის გასცეს პასუხი იმ კითხვებზე, რომელნიც კანონ-პროექტში არ შედიან და არც არიან აღძრულნი. მე მაინც ვიტყვი, რომ ვეშაპიძის აზრი, ვითომც ამ კანონ-პროექტის მიღებით ჩვენ ვაკანონებთ რუსეთის ძირითად კანონთა 87 მუხლს—სრულიად შემცდარია. რუსეთის მთავრობა სცემდა კანონებს სახელმწიფო სათათბიროს გარეშე და უცნობლად. აქ კი წარმოდგენილ კანონ-პროექტით მთავრობას ეძლევა ნება გააუქმოს ან გარდაქმნას ზედმეტი და საეჭვო დაწესებულებანი. ამ კანონ-პროექტით პარლამენტი უკვე განსაზღვრავს მთავრობის კომპეტენციის სფეროს, უჩვენებს რა შინაარს კანონისას და მის მოქმედების გეზს ამ მხრივ ჩვენ ნამდვილ კანონიერების გზას ვადგივართ. მე მოვითხოვ, რომ კანონ-პროექტი მიღებულ იქმნეს.

თავმჯდომარე. საზოგადო მსჯელობა დასრულებული გახლავთ. აქ გახლავთ 2 კანონ-პროექტი, ერთი იურიდიული კომისიისა და მეორეც მთავრობისა. რეგლამენტის ძალით ჩვენ უნდა კენჭი გვეყარა პირველად მთავრობის კანონ-პროექტისათვის, მაგრამ რაკი მთავრობა დაეთანხმა იურიდიულ კომისიას, კენჭს უყრით იურიდიულ კომისიის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტს. ვინ არის წინააღმდეგი რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე? არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

იეს. ბარათაშვილი. (კითხულობს 1 მუხლს).

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი. ეს მუხლი მიღებული გახლავთ.

იეს. ბარათაშვილი. (კითხულობს მეორე მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მეორე მუხლიც მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მუხლი.

იეს. ბარათაშვილი. (კითხულობს მესამე მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მუხლი მიღებულია.

შემდეგი მუხლი.

იეს. ბარათაშვილი. (კითხულობს მე 4-ე მუხლს).

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი?

მაშასადამე მე 4-ე მუხლიც მიღებულია.

ახლა კენჭს უყრი საერთოდ მთელს კანონ-პროექტს. ვინ არის წინააღმდეგი. მაშასადამე ჩემო ბატონებო, მთლად კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას. დანარჩენი საქმეები წინადადება არის განხილულ იქნეს შემდეგ სხდომაზე.

გ. ვეშაპელი. ბატონო თავმჯდომარევ, წინადადების შესახებ.

თავმჯდომარე. ინებეთ.

გ. ვეშაპელი. რეგლამენტის ძალით მთავრობა შეტანილ შეკითხვას პასუხს გასცემს ან დაუყონებლივ ან ერთ-ერთ მახლობელ სხდომაზე ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ერთი კვირისა. დღეს ვადა უკვე გავიდა. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობის პასუხს,

ირ. წერეთელი. რეგლამენტის მუხლით მართალია მთავრობას ევალება პასუხის გაცემა არა უგვიანეს ერთი კვირისა, მაგრამ ეროვნულ საბჭოს არ ევალება შეკითხვებზე პასუხი უეჭველად ერთი კვირის განმავლობაში მოისმინოს. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ ეს საკითხი შემდეგ სხდომისთვის გადავიტანოთ.

თავმჯდომარე. მაშასადამე აქ წინადადებაა, რომ სხდომა გადაიდოს. ვინ არის წინააღმდეგი? ვინ არის მომხრე?

უმრავლესობა. სხდომა გადადებულია.

ახლა როდისთვის გნებავთ დავნიშნოთ (ხმები: საღამოსთვის... პარასკევისთვის). მე კენჭს უყრი. ვინ არის მომხრე რომ სხდომა გადადებულ იქმნეს პარასკევამდის.

უმრავლესობა. მაშასადამე სხდომა გადადებულია პარასკევამდის. ამით დღის წეს-რიგი დასრულებულია. კრებას ვაცხადებ დახურულად.

კრება დასრულდა 3 საათზე და 45 წუთზე.

# დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

მოსკოვი, 19 აგვისტო. გაზეთი „მან ჩესტერ გვარდიენ" თავის წერილში, რუსეთის საქმეში იაპონელების ჩარევის წინაღმდეგ, მკაცრ კრიტიკას უკეთებს მოკავშირეთა ციმბირის საქმეებში ჩარევას.

ბერლინი, 20 აგვისტო. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ბეილელის სამხრეთ დასავლეთით საარტილერიო ბრძოლაა. გუშინ საღამოთი მტერმა განაახლა თავისი შეტევები, რომლებიც ჩვენ მალე მოვიგერიეთ. მერვილი გუშინ მტერმა დაიჭირა. ლანსთან და სკარპთან მოვიგერიეთ ინგლისელთა ნაწილების შეტევები.

ბოინის ლაშქარი. ლიხონსთან ჩვენ გავიმარჯვეთ და ტყვეთ წამოვიყვანეთ კაცანდა. შელნთანაც ჩვენ მტერი მოვიგერიეთ. რუაინის ჩრდილოეთ დასავლეთით ფრანგებმა განაახლეს შეტევები ჯავშნოსანი ავტომობილებით. ჩვენ ის მოვიგერეთ. მევრენსა და უაზას შუა მთელი დღე მკაცრი ბრძოლა სწარმოებს. ფრანგები ძლიერ იერიშებს აწარმოებდნენ. კრეპომენილის სამხრეთი და ფრესნერის ორივე მხრით მტრის შეტევები ვერ დამთავრდა მათ სასარგებლოთ, ჩვენ ის მოვიგერიეთ. ჩვენი წინა ხაზები, სადაც მტერი შეიჭრა, ისევ გავწმინდეთ მტრისაგან. ჩვენ დავიტოვეთ ჩვენი პოზიციები უაზასთან, რომელზედაც მტერი იერიშებით მოდიოდა. უაზასა და ენის შუა ბრძოლამ შუადღის შემდეგ მკაცრი ხასიათი მიიღო. ჩვენ ყველა შეტევები მოვიგერეთ.

გალვიცის ლაშქარი. მაასისა და მოზელის შუა ჩვენი მზვერავი რაზმები ბევრჯერ შეიჭრნენ მტრის სანგრებში.

ვენა, 20 აგვ. სამხედრო ცნობა. 19 აგვ. ღამით ანსანსოსთან (?) ჩვენმა ჯარებმა გაიმარჯვეს.

სტამბული, 20 აგვისტო. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. წუხელის მტერმა ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ, დაიწყო შეტევები. ძლიერი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ, ისინი ყველგან მოვიგერიეთ. ბრძოლის დროს განსაკუთრებით გაიმარჯვა ქვეითა ჯარმა № 21. მტრის ზარალი დიდია. სხვა ფრონტებზე შესანიშნავი არაფერია.

19 აგვისტოს ღამით მტერმა ყუმბარები ჩამოჰყარა სტამბულზე, ზარალი არ არის. დაჭრილია რამოდენიმე იტალიის ქვეშევრდომი.

უკრაინაში. უკრაინისა და ველიკოროსიის შუა საზღვრების საკითხის გადასაწყვეტად კიევში იწვევენ საზავო კონფერეციის პლენუმს. უკრაინის მთავრობა ზომებს ღებულობს, უკრაინაში არ მოგროვდეს რუსული საკრედიტო ბილეთები.

უკრაინის და დონის მთავრობები ცდილობენ შეთანხმდენ საზღვრების შესახებ. რუსთა დელეგაციას კიევში უკრაინის ციხეებში მყოფი რუსის ქვეშემრდომნი დახმარებას სთხოვენ. უკრაინაში მთავრობამ აკრძალა გაზეთ „იზვესტია ც. ი. კ." გავრცელება. დონზე. დონის მთავრობა არ კმაყოფილდება ოკტომბრისტების პროგრამით და გასცა ბრძანება, რათა დონის ტერიტორიიდან გაიგზავნოს სახელმწიფო დუმის ყოფილი თავმჯდომარე როძიანკო. მთავრობას განზრახული აქვს მოაწყოს კორნილოვის დიდი ზეიმით დაკრძალვა. დონის მთავრობა უარს აიბობს ს. დ. პარტიის რეგისტრაციაზე.

პარიზი, 2 აგვისტო. სამხედრო ცნობა. ავრიდან სამხრეთით ფრანგთა ჯარებმა დაიპყრეს ...(გაურკვეველია) უზიდან აღმოსავლეთით ფრანგთა ჯარებმა იერიში მოიტანეს გერმანულ საომარ ხაზზე 25 კილომეტრის სიგძის ფრონტზე, დაახლოვებით სოფ. ასლიდან მდინარე ენამდე. გერმანულ ჯარების ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავათ ფრანგებმა მიახწიეს ჟიურსკამპის ტყის შესავალს კარლეპონტისა და კესნას მიდამოს. ცენტრში ფრანგებმა აიღეს ლომბეტი, ლერანკურტი (?) და ვასსენიდან ჩრდილოეთით გამაგრდნენ. მარჯვენა ფრთაზე ფრანგებმა აიღეს სოფლები ვეზაპონინი, ტილტიერი და რუიზი-ენლმონტი. მთელი შეტევით ფრონტზე ფრანგებმა წინ წაიწიეს 4 კილომეტრით და ტყვეთ წამოიყვანეს 8000 ტყვეზე მეტი. 18 აგვისტოდან უაზისა და ენს შუა წაყვანილ ტყვეთა რიცხვი 10.000 მეომარს აღემატება.

მოსკოვი. 20 აგვისტო. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ბეჭდითი ბიუროს ბიულეტენი. შინაგანი ფრონტი. 19 აგვისტოს საოპერაციო მოქმედებები. ყველას და ტაშკენტში კოლესოვს. აღმოსავლეთის ფრონტი. ყაზანის რაიონში ჩვენ დავიკავეთ სოფ. ვასილიევო. სადგურ სვიაჟის ახლოს მტრის აეროპლანმა ყუმბარა ჩამოაგდო, რომელსაც არავითარი ზიანი არ მოუტანია. ფრონტის დანარჩენ ადგილებში მდგომარეობა უცვლელია. საოპერაციო განყოფილების უფროსი არალოვი.

ყაზანში გიმნაზიის უფროს კლასების მოწაფეები ეწევიან სადარაჯო სამსახურს სატუსაღოებში, რომლებიც სავსეა მუშებითა და გლეხებით. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველდღე ათეულებით ხვრეტენ ხალხს, მაინც მუშათა უბნებში მიტინგებს აწყობენ.

სამარის მუშებმა, რომლებიც ჯარში არიან გაწვეულნი საბჭოთა მთავრობასთან საბრძოლველად, სარევოლიუციო სიმღერებით მოიარეს ქუჩები. აქ ამ დღეებში უცნობმა პირებმა ააფეთქეს 10 ვაგონი ტყვია წამლით სავსე.

## უცხოეთი.

### საფრანგეთში

ჟენევიდან ცნობაა, რომ პარიზში რესპუბლიკანურმა კოალიციამ (?) სხდომაზე, სადაც რენოდელი და სამბა იღებდა მონაწილეობას, გაკიცხვის რეზოლიუცია გამოიტანა კლემანსოს პოლიტიკის წინააღმდეგ. დიდი ყურადღება მიიქცია რენოდელის განცხადებამ იმის შესახებ, რომ სანგრებში და მთელ ფრონტზე დიდი აგიტაცია სწარმოებს სახელმწიფოს წესწყობილების შეცვლის შესახებ. არის ხმები, რომ ფრონტზე საფრანგეთის მომავალ მეფეთ ორლეანის ჰერცოგს ასახელებენო.

### ვილსონი და ზავი

ჟენევაში ხმებია გავრცელებული, რომ ვაშინგტონში მყოფ შვეიცარიის ელჩს ვილსონმა წინადადებით მიმართა, გაიგოს ბერლინში ცენტრალურ სახელმწიფოთა ზავის პირობები. გაზეთები იუწყებიან, რომ თუ ელჩმა წინადადება მიიღო, ეს შვეიცარიის მთავრობის ნებართვით მოხდებაო.

### ამერიკის ჯარები

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ უკანასკნელი ცნობებით ამერიკაში კიდევ ორი კორპუსის მოწყობას შეუდგნენო.

### საფრანგეთი და ციმბირი

საფრანგეთის პრესა აგიტაციას ეწევა, რომ საფრანგეთმა მონაწილეობა მიიღოს ციმბირში შეთანხმებათა ჯარების გალაშქრების დროს.

### ეიხგორნის მოადგილე

კიევიდან ოფიციალურად რადიოთი იუწყებიან, რომ ეიხგორნის მოადგილეთ დაინიშნა მერვე ლაშქრის მთავარ სარდალი გენერალ ობერსტი გრაფი კირბახი.

იქიდანვე ცნობაა, რომ უკრაინის ფოსტატელეგრაფის უკრაინიზაციის ბრძანება უკვე გამოქვეყნდა. მოსამსახურეთ წინადადებით მიმართეს, სულ მოკლე ხანში შეისწავლონ სახელმწიფო ენა.

## ამონაწერი

საქართველოში დამზადებულ მოცვის ჩაიზე აქციზის დადების შესახებ, გადაეცეს თავის აზრის დასასკვნელად ფინანსთა მინისტრს.

—

მიწათმოქმედების პროექტის შესახებ დამზადების მიზნით ქუთაისის გუბერნიაში განსაზღვრულ ტყეების მიცემისა გლეხებისათვის განსაკუთრებულ პირობებში მოსავლელად გადაეცეს განსახილველად მიწათმოქმედების, ფინანსთა და სასურსათო სამინისტროებს.

—

მიენდოს გარეშე საქმეთა სამინისტროს შეატყობინოს გერმანიის დელეგაციას, რომ მთავრობა თანახმაა მონაწილეობა მიიღოს სარკინისგზო თათბირში, 30 აგვისტოს, ხოლო წარმომადგენლის გაგზავნა დაევალოს გზათა მინისტრს.

—

მიენდოს სათანადო წარმომადგენელის გაგზავნა სევასტოპოლში საზღვაო საქმეებში გამოცდილ, საქართველოს ინტერესების დასაცავად საზღვაო საქმეებში, სამხედრო და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრებს.

—

მიეცეს ნება განსაკუთრებულ რწმუნებულის სასურსათო საქმეებისთვის პურზედ გაცვლის მიზნით საჭირო საქონლის მოტანისა რესპუბლიკის ჯარის მიერ დაკავებულ ადგილებში.

—

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთათვის ჯამაგირის მომატებისა და ერთდროულ დახმარების შესახებ გადაეცეს სეხელმწიფო კონტროლიორს თავის აზრის დასასკვნელად.

—

სპირტის რეკვიზიციის უფლება მიეცეს სასურსათო სამინისტროს. სპირტის ხმარება ავტომობილებისათვის დღევანდელ პირობებში მიულებელია.

—

დაევალოს ყველა უწყებათ და დაწესებულებათ მიიღონ ზომები, რათა ყოველგვარი ძალაში შესული დადგენილება დაუყონებლივ იქმნას მოყვანილი სისრულეში.

—

სოხუმელ ბერძნების ეროვნულ საბჭოს ნება დაერთოს 50,000 ფუთი თამბაქოს საზღვარგარედ გატანისა.

—

გაეხსნას სამხედრო მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 10,000 მანეთის კრედიტი რაჭაში სახალხო გვარდიელების გაგზავნის ხარჯების დასაფარავად.

—

მიენდოს სამხედრო მინისტრს მოახდინოს ჯარის რეორგანიზაცია ახლად მიღებულ კანონის მიხედვით.

—

თანახმად მთავრობის ამა 3 აგვისტოს დადგენილებისა პოლონურ ეროვნულ საბჭოს განმეორებით თხოვნის 14,650 მან. 13 კაპ. მიცემის შესახებ რამდენიმე აფიცერთა დასაკმაყოფილებლად სალიკვიდაციო ფულით უარი ეთქვას მთავრობის მიერ უკვე მოხდენილ პოლონურ ეროვნულ საბჭოსთან შეთანხმებით სრული საერთო ლიკვიდაციის გამო პოლონელთა ჯარისა. ეს დადგენილება ეცნობოს გერმანიის მისიის წერილისა ამა 19 აგვისტოს № 3101 თარიღით.

—

მიენდოს იუსტიციის მინისტრს დააკმაყოფილოს მინსკის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს ამხანაგი ტიმნიაკოვი და მისი თანამთხოვნელები მხოლოდ ჯამაგირებით, მათი მდვილი ნამსახურის მიხედვით.

# ახალი ამბები.

## მთავრობაში.

◯ სახალხო განათლების სამინისტროს ნება დაურთავს ალ. საათაშვილისთვის გახსნას თბილისში ქართული ბუხჰალტერიის კურსები. კურსებზე მიიღებიან როგორც ვაჟები, ისე ქალები, წლოვანობის განურჩევლად. ჩაწერა კურსებზე ყოველ დღე დილის 10-დან 12 საათ. დუშეთის ქუჩა, სახლი 9 (1-ლი სამილ. უბანი)

◯ დუშეთის მაზრაში წეს-რიგის დასაცავად და ბანდისტების გასაფანტავად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაგზავნა სამხედრო რაზმი.

◯ აძერბეიჯანის მთავრობამ წინადადება გაუკეთა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას: თბილისისა და განჯის შუა რეგულიარული მიმოსვლის აღსადგენად უნდა მოისპოს მგზავრების გაჩხრეკა სად. ნავთლუღში და ფოილოში. ბარგი გაიჩხრიკება თბილისში და განჯაში.

◯ თბილისში ჩამოვიდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია. გუშინდელ ნომერში კი სამწუხაროდ შეცდომით გვქონდა მოხსენებული ნ. ჟორდანიას მაგიერ ნ. რამიშვილი.

◯ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით რეხის ნაწილში, (გორის მაზ.) იგზავნება საეპიდემიო რაზმი სხვა და სხვა ავადმყოფობასთან საბრძოლველად.

◯ რკინის გზის კომისრების თანამდებობანი, რომელიც ცენტრალურ კომიტეტის მიერ იქმნენ დანიშნული, გზათა სამინისტროს მიერ გაუქმებულ იქმნა და რკინის გზის უფროსს დაევალა ამ თანამდებობის გაუქმების გამო ყველა კომისრები დაუბრუნდნენ წინანდელ თავის თანამდებობებს.

## ერობა.

◯ დუშეთის მაზრაში ამ მოკლე ხანში შეუდგებიან საერობო არჩევნებს.

◯ სენაკში ერობის არჩევნებში ხმის უმეტესობა მიიღეს სოციალ-დემოკრატებმა.

## ხელოვნება.

◯ ცნობილი დირიჟერი პროფ. ჩერეპნინი, რომელიც თბ. კონსერვატორიის დირექტორადაა მოწვეული გაეცნო ყველა იმ ჰიმნებს, რომელიც საკონკურსოდ იქმნა წარდგენილი. განზრახულია რომ რამდენიმე ჰიმნი შეკრების დღეს მისი დირიჟერობით შესრულდეს.

◯ სამშაბათს, 20 მარიამობისთვეს ქარ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობას ჰქონდა პირველი კრება. თავმჯდომარეთ ამოირჩიეს პოდპ. ე. მაჩაბელი, მის ამხანაგად მ. ბალანჩივაძე, მდივნად ილ. აბაშიძე, ხაზინადრად ბ. ტარუაშვილი. გამგეობამ დაადგინა ქ. ქუთაისში გახსნას განყოფილება და დაარსოს მუსიკალური. სკოლა, რომლის მოსაწყობათ ერთხმად ამოირჩია ბ. ბალანჩივაძე.

## გამომცემლობა.

◯ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ გამოსცა შემდეგი სახელმძღვანელო და სახალხო საკითხავი წიგნები: 1. „მოკლე სახელმძღ. ბუნების მეტყველებისა". პირველი ნაწილი, ს. იაშვილი. 2. მოკლე სახელმძღ. ბუნების მეტყველებისა მეორე ნაწილი—ამავე ავტორისა. 3. „ქართულის სიტყვიერების ისტორია მეცხრამეტე ს."—ა. ხახანაშვილისა. 4. „მეხის ამბავი". გ. შარაშიძე. 5. „ჩემი ყვავილები" შ. მღვიმელი. „ცვარი", და „ოქროს თავთავი"—ამავე ავტორისა.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა: 1. „დედა ენა" ი. გოგებაშვილისა მეორე ნაწილი, შესწორებული. 2. „ბუნების კარი" შესწორებული ამავე ავტორისა. 3. „კონცენტრიული კურსი ფიზიკისა" პირველი ნაწ. რ. ხუციშვილისა. 4. ა. ხრამელაშვილი". არითმეტიკული კრებული პირველი ნაწ." 5. „არითმეტიკული კრებული მეორე ნაწ." ამავე ავტორისა. 6. „ჰაერი და სითბო" გ. შარაშიძისა.

მზადდება დასაბეჭდათ: 1 ლათინური ენის სახელმძღვანელო—ნიჟარაძისა და პ. აბულაძისა. 2. საქართველოს მოკლე ისტორია. 3. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია და სხვა მრავალი წიგნები.

მივიღეთ ჟურნალი „კავკაზსკი გოროდ", კავკასიის საოლქო კომიტეტის ქალაქთა კავშირის ორგანოს ნომრები, 1—2, 3—4 და 5—6. ჟურნალში მოთავსებულია პროფესორ რაზუმოვსკის, ექიმ კალუჟნის, პრივატ-დოცენტ იშკოვის და სხვათა წერილები სხვა და სხვა საკითხების შესახებ.

## გაფიცვა.

◯ როგორც ტყიბულიდან იტყობინებიან მთავრობის წარმომადგენელი ერაძე, რომელიც გაგზავნილი იყო მუშებთან შეთანხმების მოსაწყობად, ვერას გამხდარა და გაფიცვა დაწყებულა. ერაძე გამომგზავრებულა უკანვე თბილისში.

## ხოლერა.

◯ უკანასკნელ სამ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 11 ხოლერიანი და 7 საეჭვო ავადმყოფი. მორჩა 17. გარდაიცვალა 10 ხოლერიანი და 4 საეჭვო ავადმყოფი. 20 აგვისტოსთვის სულ იყო 74 ხოლერიანი და 16 საეჭვო ავადმყოფი.

## სხვა და სხვა ამბები.

◯ გათბობის მხრივ მხარის მდგომარეობა უმჯობესდება. სოფ. ახმეტაში (თელავის მაზრა) აღმოაჩინეს ნავთის შადრევნები. აქედან დღეში შეიძლება მივიღოთ 2000 ფუთი ნავთი.

◯ მთავარი სამთო სამმართველოს განსაკუთრებული რწმუნებული ინჟინერი ყიფშიძე გაიგზავნა ალავერდის ქარხანაში, ამ ქარხნის მადნიდან ოქროსა და ვერცხლის გადადნობის საკითხის გამოსარკვევად.

◯ გააგიდან გვატყობინებენ, რომ 8 აგვისტოს იქ ქალაქის სამმართველოს წინ შეგროვდა ბრბო, რომელმაც პროტესტი განაცხადა სიძვირის წინააღმდეგ. ცხენოსანმა მილიციამ სროლით გაფანტა ბრბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

○ 25 აგვისტოს, (ახ. სტ.) კვირას დილით 10 საათზედ, კობის ქუჩა № 9, დანიშნულია კრება ყველა უწყების ქართველ ვეტერინარ-ექიმთა და ფერშალთა. კითხვები: 1. ქართველ ვეტერინარ—ექიმთა საზოგადოების დაარსება, 2. ამიერ-კავკასიის ვეტერინართა საზოგადოების ლიკვიდაცია და სხვა საამდროვო კითხვები. საჭიროა ყველა ამხანაგები დაესწრნენ.

○ გერმანიის მისიის ცნობით ინგლისელებს დაუხვრეტიათ ისპაჰანში რამოდენიმე სპარსელი აფიცერი და ჟანდარმები, რადგანაც მათ უარი განუცხადებიათ ინგლისის ჯარში სამსახურის გამო.

○ სომეხთა სამშვიდობო დელეგაცია სომეხთა დიპლომატიურ წარმომადგენელს სტამბოლიდან ატყობინებს რომ ოსმალთა ჯარები დაუყონებლივ გაიყვანონ ბამბაკისა და ლორის რაიონებიდან.

○ გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა პრ. ჯავრიშვილი. თავდასხმისათვის ჯარის კაცი გასიევი, კუდაშოვი და ჩინდი. ოსმან ოღლი სიმთვრალისთვის. ჯარის კაცი ფხაკაძე სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის.

○ თბილისის საქალაქო დუმის წევრი და ქ. თბილისის პროფესონალურ კავშირებთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე, კალენიკე გოგიბერიძე, რომლის დატუსაღების შესახებ ცნობები იყო მოთავსებული ადგილობრივ პრესაში, 20 აგვისტოს გამოცხადდა სამოსამართლო პალატის პროკურორთან და განაცხადა, რომ თუ მართლა ის უნდა დაატუსალონ, როგორც გაზეთები სწერდნენ, ის გამოცხადდა თავის ნებით. მაგრამ პროკურორმა საჭიროდ არ სცნო გოგიბერიძის დატუსაღება. რაც შეეხება გაჩეჩილაძის მოკვლას და რუხაძის დახვრეტას, ამას იძიებს ორი გამომძიებელი.

○ ადერბეიჯანის მთავრობის მიერ აკრძალულია რესპუბლიკის საზღვრებიდან როგორც პურის, აგრეთვე ნავთის და ბენზინის გატანა.

○ პორუჩ. ვ. გორგაძის ხელმძღვანელობით მე-5 ქართ. მსროლელ პოლკში გაიხსნა ქართული ენის უფასო კურსები აფიცრებისთვის. მეცადინეობა დაიწყება 22 აგვისტოს სამშაბათობით, ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 6 საათიდან 7 ნახ. საათამდის.

○ მე-9 უბნის კომისარმა იპოვნა საათი. პატრონს შეუძლია მოიკითხოს 9-რე უბნის კომისარიატში.

○ 19 აგვისტოს ღამის 12 საათზე კიროჩინი ქუჩაზე № 26 შტ. კაპიტან ივ. სამუილოვმა თვითმკვლელობის მიზნით თავი დაიჭრა.

○ 18 აგვისტოს, ბორჯომის ქუჩაზე № 12 ნ. სუზჩუკმა თავი მოიკლა.

○ 18 აგვისტოს საღამოს 6 ს. კუბის ქუჩაზე № 2 ა. ნ. ჩეკმა სასიკვდილოდ დასჭრა იმავე სახლში მცხოვრები ალ. კარგანოვი.

## დეპეშა ნოვოალევიდან.

ნოვოალევიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ პორუჩიკ ჩიქვანაძესაგან:

„სამეგრელოში ყაჩაღთა განთავისუფლებას საზღვარი არა აქვს, ხალხი ამით ძალზე აღელვებულია, რადგანაც ყაჩაღობა უფრო ვრცელდება. ადმინისტრაცია საშუალებას მოკლებულია დაატუსაღოს ბოროტმოქმედენი, რადგანაც უმაღლესი მთავრობა მეორე დღესვე ათავისუფლებს მათ.

ხორშის სასოფლო კომისარი ცხომარინი მესამე დღესვე გაათავისუფლეს, მისი მეთაურობით ზუგდიდში ილაშქრებს ბრბო. ფიქრობენ გაანთავისუფლონ სოფ. თამაკონის მცხოვრების მღვდ. ჯანჯღავას მკვლელები. ფიქრობენ გაანთავისუფლონ აგრეთვე ბრბოს მეთაურები, რადგანაც მათი რიცხვი მატულობს ესერის ათანასე ხუღორდავას შუამდგომლობით. მინისტრის ნებადაურთველად აკრძალულია აგრეთვე ბოლშევიკების დატუსაღება, თუმცა ისინი ნამდვილი პრავოკატორები არიან. ყველა ამას აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს სანამ გვიან არ არის. ხალხი თხოულობს ამ კითხვების გადაწყვეტას არა „ამხანაგურად“ არამედ სახელმწიფოებრივი გზით“.

## კავკავის ამბები.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი მახარაძე მთავრობის თავმჯდომარეს ყაზბეგიდან დეპეშით ატყობინებს: დელეგაცია, რომელიც გაემგზავრა კავკავში თერგის მთავრობასათან მოსალაპარაკებლად ყაზბეგში ჩამოვიდა. 6 აგვისტოს კავკავში შემოვიდნენ ყაზახები დაიჭირეს ჯარის კაცთა და მუშათა დეპ. საბჭოს ბინა. ბევრი ბოლშევიკები დახოცეს. დაიწყო ბრძოლა ქალაქის ქუჩებში. ესროდნენ ქალაქს ჯავშნიან მატარებლებიდან 10 დღის განმავლობაში. ასეთ უბედურობის დროს ჩვენ ქალაქში დავრჩით. როცა დაუწყეს სროლა და ძარცვა იმ სახლს სადაც ჩვენ ვიდექით, ჩვენ ინგუშების დახმარებით 16 აგვისტოს გამოვიპარეთ ქალაქიდან. კავკავიდან ჩამოსულების სიტყვით იქ ეხლა სიწყნარეა. სახლები ზოგი დამტვრეულია, ზოგიც დამწვარი. დღეს იქ უნდა აირჩიონ ახალი მთავრობა. დღეს მივდივართ ჩვენ ყაზბეგიდან.

დელეგაციის თავმჯდომარე მახარაძე.

## ბათუმის ქართველობა

მთავრობამ შემდეგი ქაღალდი მიიღო ბათუმელ ქართველთა ეროვნულ საბჭოსაგან:

ბათუმელ ქართველთა ეროვნულმა საბჭომ 13 აგვისტოს სხდომაზე იქონია-რა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ბათუმში საქართველოს წარმომადგენელი დღემდის არაა ცნობილი ოსმალეთის მთავრობის მიერ, რის გამო ქართული საზოგადოება მოკლებულია ყოველგვარ დაცვას და გამოსარჩლებას ერთხმად დაადგინა: ასეთი აუტანელი მდგომარეობა და შევიწროება ქართველ მოქალაქეთა ემცნოს საქართველოს მთავრობას დაჩქარებით შესაფერი ზომების მისაღებათ.

ადგილობრივი ეროვნული საბჭო ფიქრობს, რომ აუცილებლად საჭიროა სტამბოლში შუამდგომლობის განმეორება ამ საქმის შესახებ, რაც უნდა აცნობოს ჩვენმა მთავრობამ აქაურ მთავარ სარდალს ესედ-ფაშას და სამოქალაქო უწყების წარმომადგენელს გუტასეროვს (გუბერნატორს).

ბათომის ქართველთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე გრ. ელიავა.

## საშუალო სკოლის რეორგანიზაციის გამო.*)

(დასასრული.)

გერმანულ საშუალო სკოლის სასწავლო პლანის მიხედვით დაარსებულია შემდეგი ტიპის სკოლები:

1, 9 წლიანი კლასიკური გიმნაზია და 6 ან 7 წლიანი კლასიკ. პროგიმნაზიები;

2, 9 წლ. რეალური გიმნაზია ლათინური ენით და რეალ. პროგიმნაზიები 6 წლ. კურსით;

3, უმაღლესი რეალური სასწავლებელი (oberreacshue) 9 წლ. კურსით და რეალ. 6 წლიანი სასწავლებელი, ეგრედ წოდებული უმაღლესი სამოქალაქო სასწავლებელი (Nöhere Bürgerschulen). როგორც მკითხველი ხედავს გერმანიაში სამი ტიპია საშუალო სკოლისა, საერთოდ ამ სამოსწავლო სქემას და ყოველივე ტიპის ხარისხობრივი დანაწილებას გერმანიაში საფუძველად უდევს ხალხის კლასობრივი, ეკონომიური დიფერენციაცია და აგრეთვე ბევრნაირი სახელმწიფო ხასიათის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

კლასიკურ ენებს გერმანიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია, გერმანული მეცნიერება უმთავრესად კლასიკურ ნიადაგზე აღმოცენდა; ინგლისშიაც და საფრანგეთში კლასიკურ ენებს მეტადრე ლათინურს, საშუალო სკოლაში საპატიო ადგილი უჭირავს, ჩვენთვისაც ამ საკითხის გადაჭრა აუცილებელია, მაშინ ვერ უარყოფთ კლასიკურ ენების აუცილებლობას საშუალო სკოლაში. უმაღლეს სწავლის, კვლევაძიების გაჩაღებისთვის აუცილებელია ორივე კლასიკური ენების სწავლის მოწყობა. ლათინური ენის სწავლებას გერმანიაში ისტორიული და კულტურული მოსაზრებანი ამართლებენ, ჩვენში კი სულ სხვა პირობებს ჰქონდა ადგილი.

ქართულ კლასიკურ გიმნაზიებში პრიორიტეტი ბერძნულ ენას უნდა მივანიჭოთ, ძნელი წარმოსადგენია ქართული საერთო განათლება, თუ ბერძნული ენა შესწავლილ არ იქმნა.

ბერძნული ლიტერატურა, ფილოსოფია, ხელოვნება უნდა გავიხადოთ უმთავრეს მძლავრ ნაკადათ ჩვენს ეროვნულ და კულტურულ განვითარების პროცესში, ამას მოითხოვენ ისტორიული ნაანდერძევი და მასთან ერთად ღრმა, სპეტაკი და მრავალ სახოვანი სული ანტიურ კულტურისა!

ახალი ენების სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში საჭირბოროტო საკითხად შეიქმნა. ჩვენი ახალგაზდობა გულმოდგინეთ მოჰკიდებს ხელს ახალი ენების შესწავლას, ამის ნიშნები უკვე სჩანს; საერთო გუმანისტურ განათლებას საფუძვლად უდევს ევროპიული ენების შესწავლა, ამ ენების მეოხებით შესაძლებელი ხდება დაწინაურებული ერების სულიერი საუნჯის შემეცნება და შეთვისება, ამ ერებთან მრავალნაირ კულტურულ ურთიერთობის დაკავება და განმტკიცება. იბადება მხოლოდ საკითხი, რომელ ენებს მიუცეს განსაკუთრებული ადგილი საქართველოს საშ. სკოლაში? ეჭვს გარეშეა, ახალ ენებში გერმანულ ენას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, იმისათვის კი არა, რომ დღეს გერმანია მოკავშირე სახელმწიფოა და დახმარებას გვიწევს, მხედველობაში გვაქვს ის, რომ საერთოთ ყოველივე მეცნიერული განვითარება გერმანული ენის ცოდნას გულისხმობს; გერმანია მეცნიერების სამშობლოა, საუნივერსიტეტო განათლება იქ უმაღლეს საფეხურს აღწევს. გერმანული საუნივერსიტეტო ორგანიზაცია გადატანილ იქმნა ამერიკაში და აქ ბრწყინვალე შედეგები მოიტანა, ამას თვით ამერიკელები გულახდილად აღიარებენ. გერმანულ ენას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ქართველ მეცნიერთა კადრები განსაკუთრებით გერმანიაში უნდა გაიწრთვნენ. ქართველებისთვის ცოტა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ფრანგულ ენას, ფართო საზოგადოებაში ფრანგული ენა ძლიერ პოპულიარულია, მაგრამ ამ გარემოებას პედაგოგიური მნიშვნელობა არა აქვს. ეს სიყვარული ფრანგული ენისადმი ნაანდერძევია მე-VXIII საუკუნის ტრადიციით.

ინგლისური ენა ცდილობს მსოფლიო ენათ იქცეს; თვით გერმანელები ამ გარემოებას დიდ ანგარიშს უწევენ და ფრანგულ ენის მაგივრად ინგლისურ ენის დამკვიდრებას ცდილობენ თავის საშუალო სკოლაში. ფრანგულ ენას არ ჰყავს მოქიშპე დიპლომატიურ სფეროში და უმაღლეს საზოგადოებაში, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. სხვა რომ არ იყოს 1800 წლამდის ფრანგულ ენას ხმარობდა 30 მილ., ინგლისურს 20 მილ. 1900 წლიდან კი ფრანგულს 45 მილ., ინგლისურს 120 მილ. დიდი ბრიტანეთი, ამერიკა, ავსტრალია, აზია ინგლისურ ენის შესწავლას ეწაფვის. ქართველ ტეხნიკს, მეცნიერს, კომერსანტს, მხედარს, გარდა გერმანულისა, უმთავრესად ინგლისური ენა ესაჭიროება, აშკარაა —აღმოსავლეთით, მცირე აზიაში, საერთოდ სამხრეთის მიმართულებით ჩვენ ინგლისურ ენასთან გვექნება საქმე, ამიტომ ინგლისურ ენას საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს სპეციალურ და რეალურ სასწავლებლებში მაინც, რაც შეეხება სხვა საგნებს—აქაც ადგილობრივი, ეროვნული თვალსაზრისი უნდა იქნეს გატარებული, მაგ. ისტორიის და გეოგრაფიის შემადგენლობის განაწილება, შემუშავება, მხოლოდ ამ პრინციპებს უნდა ექვემდებარებოდეს.

საქართველოში ისტორიის შემადგენლობა განსაზღვრულ პირობებს უნდა დაემორჩილოს; სხვა ერების ისტორია რუსული ერის თვალსაზრისით არ შეისწავლება, ქართულ სკოლაში ვრცლად განიხილება იმ ერთა ისტორია, რომელთანაც ჩვენ მრავალ საუკუნოების სრბოლაში ურთიერთობის კავშირითვარ გადაბმული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მეზობელი აღმოსავლეთის ერების ისტორიას, აგრეთვე ბერძნულ (ანტიურ და ბიზანტიურ) ისტორიას, რომაელების ისტორიას კი ამ მხრით ნაკლები მნიშვნელობა აქვს. სახელმძღვანელოების გარდაქმნა ამ თვალსაზრისის მიხედვით ძნელი საქმეა, ბევრი დაბრკოლება ელობება მას წინ—მეცნიერებაშიც არ არის სათანადოდ მომზადებული ნიადაგი, მაგრამ მაინც დღესვე ეს საღი პედაგოგიური მოსაზრება სახელმძღვანელოებში გატარებულ უნდა იქმნეს შეძლებისდაგვარად.

საერთოდ ჩვენი საშუალო სკოლის აყვავება სრულ გაეროვნებას გულისხმობს, მაგრამ ამ რთულ პროცესის ბრწყინვალედ დაგვირგვინებისათვის დიდი შრომა და ბევრი დროა საჭირო; მხოლოდ ამ მიზნის განხორციელებაში ჩვენ უნდა ვერიდოთ უკიდურესობას, გადაჭარბებას; უნდა გვახსოვდეს, რომ ნამდვილი ეროვნული გრძნობა უფრო ნაკლებათ ვითარდება იქ, სადაც მის შესახებ უსაფუძვლოდ ზედმეტს ყვირიან.

ნ. ნ. ქუთათელაძე.

*) ნ. ქუთათელაძის მოხსენებიდან.

## სამხედრო-სარევოლიუციო ტრიბუნალში.

ნიკ. წულუკიძის საქმე.

აგვისტოს 20-ს საღამოს რვა საათზე ძლივს დასრულდა საქმე ნიკ. წულუკიძისა, რომელმაც ყოფილი საზღვაო მინისტრი ვლადიმერ გობეჩია მოჰკლა. საქმე ერთს კვირას ირჩეოდა. მკვლელობა მოხდა ბინის რევკიზიცის ნიადაგზე.

მკვლელობას ბრალდებული უარს არ ჰყოფდა, მაგრამ სასამართლოში ბრალდებულის დამცველებმა სხვა საკითხი აღძრეს, სახელდობრ ის თუ რამდენად სულიერად საღია მკვლელი, რომელმაც ბინის გარშემო ატეხილ დავის გამო ასეთი მძიმე საქმე ჩაიდინა.

დაკითხულ იქმნა მრავალი მოწმე. მათის ჩვენებით ბრალდებული სიფხიზლეში ყოვლად კეთილი, მშვიდი და ზრდილობიანი კაცია, ხოლო სიმთვრალეში—მეტად ფიცხი, და აუტანელი. ხშირად მეორე დღეს აღარც ახსოვს, რაც წინად დღით სიმთვრალეში ჩაიდინა.

ამას გარდა მოწმეთა ჩვენებიდან გამოირკვა, რომ როგორც მამა ბრალდებულისა, ისე ძმები უცნაურის ხასიათისანი იყვნენ და უცნაურადვე და ტრაგიკულად გაათავეს თავიანთი ამ ქვეყნიური სიცოცხლე.

ბრალდებულის ფსიხიურად შესამოწმებლად ექსპერტებიც იქმნენ გამოწვეულნი. მათ, რიცხვით ექვსმა კაცმა, ერთხმად აღიარეს, რომ ნიკ. წულიკიძე მემკვიდრეობით მართლაც ავატმყოფია და ყოველგვარ ბოროტმოქმედების ჩადენა შეუძლიან პატალოგიურ აფექტის დროს. ექსპერტები მხოლოდ იმაში ვერ შეთანხმდნენ, ნიკ. წულუკიძე ვლ. გობეჩიას მოკვლის დროს მართლაც იყო ასეთ აფექტის გავლენის ქვეშ თუ არა. ოთხმა ფსიხიატრმა, სახელდობრ ორბელმა, ჯავახოვმა, რეისმა და ელიაზაროვმა აღიარა პატალოგიური აფექტი ვლ. გობეჩიას მოკვლის დროს, ხოლო ფონოევმა და დეშერივიჩმა შეუძლებლად სცნო გარკვეულის აზრის გამორკვევა საჭირო მასალის სიმცირის გამო.

აგვისტოს 20-ს სარევოლიუციო ტრიბუნალმა მოისმინა ბრალმდებლისა, დამცველთა და თვით ბრალდებულის სიტყვები და სამის საათის თათბირის შემდეგ დამნაშავედ სცნო ნიკ. წულუკიძე განზრახ, მაგრამ წინადვე მოუფიქრებელ მკვლელობაში და სამუდამო კატორღა მიუსაჯა.

## ქართული ცალკე ბატალიონი.

ამ წლის იანვრის ბოლო რიცხვებში, ჩვენში არსებულ სამხედრო ერთეულებში შემოიჭრა „ბოლშევიზმი.“ ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებმა არიეს საქმე და ჯარმა მთლად დაჰკარგა სიმტკიცე და ბრძოლის უნარი. ამ მოვლენამ ხელი შეუწყო უპასუხისმგებლო პირების თარეშს და ანარქიას სოფლად. სამშობლო ჩავარდა განსაცდელში: შიგნით რღვევის პროცესი დაიწყო, გარედან მტერი მოადგა ჩვენს საზღვრებს და განადგურებას გვიქადოდა. ამ დროს იმედის დამყარება შეიძლებოდა მხოლოდ ინტელიგენციაზე, მოსწავლე ახალგაზრდობაზე და შეგნებულ მუშებზე. სხვები გამოუდეგარი შეიქნენ. მასის ფსიხოლოგია შეიცვალა: დაიბადა აზრი დაარსდეს ცალკე რაზმები და ბატალიონები, შემდგარი საიმედო და შეგნებულ პირებისაგან. ერთი ასეთი ბატალიონთაგანი გახლავსთ ქართული ცალკე ბათალიონი, რომლის დაარსების ინციატივა ეკუთვნის პორ. ესაკიას. მიიღო სათანადო ნებართვა მაშინდელ ყოფილი კომისარიატის თავმჯდომარე ე. პ. გეგეჭკორისაგან და სულ მალე შეაგროვა 250 კაცამდე და პირველ მარტიდან ბათალიონი უკვე ფაქტიურად და ოფიციალურად არსებობდა. ეს ბათალიონი და ორი ცხენოსანი ერთეული დაუქვემდებარეს სასახლის კომენდადტს პოლკოვნიკ დ. ქარციძეს. ბათალიონი დღიდან დარსებისა პირნათლად ასრულებდა თავის დანიშნულებას: გადიოდა სადარაჯოზე, იღებდა მონაწილეობას ყოველგვარ ექსცესების ჩაქრობაში და სხვა. შეგნებულმა ახალგაზრდობამ შესძლო მომენტის დაფასება, ისე აღადგინა წესრიგი და დისციპლინა, რომ იმ დროს, როდესაც გაბოლშევიკებული „ამხანაგები იმაზე ფიქრობდენ როგორ გაეძარცვათ „ცეიხგაუზები“ და აეგლიჯათ ოფიცრებისთვის პაგონები, ეს ბათალიონი სამხედრო წესით ჩამწკრივებული აკვირვებდა საზოგადოებას. 19 ივნისს სამხედრო მინისტრ გიორგაძის განკარგულებით ამ ბათალიონის ერთი ასეული, შემდგარი 130 კაცისაგან ხუთი ოფიცრით, გაგზავნილ იქმნა გენერალ მაზრიაშვილის განკარგულებაში-სოხუმის ოლქში; ასეულმა მიიღო პირველი მონაწილეობა ბოლშევიკებთან ბრძოლაში ახალ ათონთან და იქიდან დაწყებული სხვებთან ერთად განდევნა მტერი ტუაფსეს იქით; ყოველ შეტაკებაში ასეული იჩენდა მამაცობას, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ასეულის ტყვიის მფრქვეველთა რაზმმა, რომლის უფროსი პორ. დოლიძე წარდგენილია რამდენიმე სამხედრო ჯილდოზე. ერთ შეტაკებაში, 5 ივლისს სოფ. ხოსტასთან ამ ასეულის ორი ოფიცერი და ათი ჯარისკაცი გმირულად დაეცნენ.

ბათალიონი დღემდისაც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას და წარმოადგენს ერთ-ერთ საიმედო ნაწილს.

ე. მ-გა

## დებულებანი საეკლესიო ქორწინება-განქორწინებისა.

სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს უკვე შეუმუშავებია და საბოლოო რედაქციით მიუღია დეკ. კორნელი კეკელიძის მიერ წარდგენილი გეგმა საეკლესიო ქორწინება-განქორწინების დებულებისა. ეს დებულება დიდად განსხვავდება რუსეთის ეკლესიის დებულებისაგან, შედარებით უფრო გაადვილებულია განქორწინება და უფრო უზრუნველ ყოფილია შთამამავლობის ჯანმრთელობა. აქვე მოგვყავს სრული დებულება თავისი შენიშვნებით და განმარტებით.

1 ქორწინება.

1. საქართველოს ეკლესიის წევრი, რომელ-

საც დაქორწინება ჰსურს, ვალდებულია შეასრულოს წესი ჯვარის წერისა.

2. ქორწინების უფლება აქვს: კაცს ჩვიდმეტიდან სამოცდაათწლამდე, ხოლო ქალს თხუთმეტიდან სამოცამდე. სასძლო-სასიძოს წლოვანება დადასტურებულ უნდა იქმნეს რომელიმე ოფიციალ დოკუმენტით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეპარქიის მღვდელთმთავრს შეუძლიან, როდესაც ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, ქორწინების ნება დართოს თუ კაცს ჩვიდმეტამდე, ხოლო ქალს თხუტმეტამდე ერთ წელიწადზე მეტი არ უკლიათ.

3. ქორწინებისათვის საჭიროა ქალ-ვაჟის სრული თანხმობა და ნებაყოფლობა, რაც მათ უნდა გამოაცხადონ ჯვარისწერის დროს მღვდლისა და, თუ მეტი არა, ორ სრულწლოვან მოწმის წინაშე, რომელთაგან ერთი ვაჟის მხრივ იქნება და ერთი ქალისა.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქალ-ვაჟმა, მღვდელმა და მოწმეებმა ეს თანხმობა უნდა დაადასტურონ საკუთარი ხელის მოწერით საეკლესიო საბუთებში.**

4. ქალისათვის ჩვიდმეტ წლამდე, აგრეთვე ვაჟისათვისაც, თუ მას ჩვიდმეტ წლამდე უხდება ქორწინება, სავალდებულოა დედ-მამის ან მზრუნველის წერილობითი ნებართვა.

5. თუ ქალი და ვაჟი ისეთ სამსახურში არიან, სადაც ქორწინებისათვის საგანგებო ნებართვის გამოთხოვაა საჭირო, ასეთი ნებართვა წერილობით უნდა იყოს დადასტურებული.

6. სასძლომ და სასიძომ უნდა წარმოადგინონ აგრეთვე ექიმის მოწმობა ცოლქმრობისათვის საჭირო ფიზიკურ და ფსიქიურ ჯანმრთელობის შესახებ.

7. ჯვრისწერა უნდა სრულდებოდეს ეკლესიაში, მიღებულის წესით.

8. ჯვრისწერა აკრძალულია: დიდსა და მარიამობისთვის მარხვებში, ხუთ იანვარს, ოცდაცხრა მარიამობისთვეს, თოთხმეტ ენკენისთვეს, ოცდა ოთხ ქრისტეშობისთვეს და აღნიშნულ დღეთა წინასაღამოს.

9. ქორწინებას დააყენებს: ა)* სისხლითი ნათესაობა: პირდაპირი ყველა ხარისხში, არა-პირდაპირი—ოთხ ხარისხში; ბ) თვისობა: პირველ ოთხ ხარისხში, მეორე—სამ ხარისხში; გ) ნათელმირონობა—ორ ხარისხში.

10. ქორწინება აეკრძალებათ: ა) განუქორწინებელ მეუღლეთ, ბ) ბერ-მონაზონთ, და იერარქიულ პირთ და გ) სამჯერ ქორწინებულთ.

## II განქორწინება.

11. განქორწინების კმასაყოფელ მიზეზად ითვლება:

ა) ცოლ-ქმარის სურვილი, ნატარიალურად შემოწმებულ წერილობითი განცხადებაში გამოთქმული, ნებაყოფლურ განქორწინების შესახებ, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნება იმ შემთხვევაში, თუ მას სამი თვის შემდეგ კვლავ განიმეორებენ;

ბ) ცოლ-ქმარის ხასიათითა და რწმენით შეუგუებლობა, რომელიც შეუძლებლად ჰხდის მათს ერთად ცხოვრებას;

გ) ოჯახისათვის ცხადი უზრუნველობა და მისდამი უყურადღებობა;

დ) ერთერთი მეუღლის მიერ სჯულის გამოცვლა ან სრულიად მიტოვება;

ე) ერთერთი მეუღლის მიერ ყველა სამოქალაქო უფლებათა დაკარგვა;

ვ) ორი წლის განმავლობაში ერთ-ერთი მეუღლის უკვალოდ დაკარგვა;

ზ) ერთი მეუღლის მიერ მეორის განზრახ თავის დანებება ერთი წლის განმავლობაში;

თ) ავად მოპყრობა ერთი მეუღლისა მეორისადმი;

ი) საჭურისობა და განუკურნებელი მცვედანობა;

ია) ვენერიული და სხვა ყოველგვარი განუკურნებელი გადამდები და სიცოცხლისათვის სახიფათო ფიზიკური სენი.

იბ) ეპილიპსია, სიგიჟე და იდიოტობა;

იგ) შვილოსნობის წინაალმდეგ განზრახ ზომების მიღება;

იდ) დაშინებით, ძალდატანებით და მოტყუილებით ჯვარის წერა;

იე) არაბუნებრივი სქესობრივი აქტი;

ივ) მრუშობა;

იზ) ლოთობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ჩამოთვლილ მიზეზებით, გარდა პირველისა, განქორწინება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ საფუძველზე პროცესს აღძრავს მეორე, დაინტერესებულა მხარე.

12. განქორწინების საქმეს აწარმოებს საეპარქიო სასამართლო.

13. ზემო ჩამოთვლილი (პარაგრაფი 11) მიზეზები, საეპარქიო სასამართლოს თხოვნით, თუ ამას საჭიროდ სცნობს, გამოძიებულ და დადასტურებულ უნდა იყოს შესაფერ სამსჯავრო-საადმინისტრაციო ანუ სამკურნალო დაწესებულებათა მიერ.

14. საეპარქიო სასამართლოს განაჩენით უკმაყოფილო მხარეს შეუძლიან, არა უგვიანეს ერთის თვისა (განაჩენის გამოცხადებიდან) საქმის გადასინჯვა ითხოვოს საკათალიკოსო სასამართლოში საკასაციო წესით.

ეს არის მთელი დებულება ქორწინება-განქორწინებისა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ როგორც სხვა ყოველგვარი მიწერ-მოწერა, განქორწინების თხოვნები ქართულად უნდა იწერებოდეს.

საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებით განქორწინების მთხოვნელმა თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინოს სათანადო საეპარქიო სასამართლოში თხოვნა და მისი ასლი, ჯვარის წერის მეტრიკა, ხაზინიდან ცხრა აბაზის კვიტანცია განქორწინების საქმისათვის, ორი თითო მანეთიანი მარკა და ხუთი თუმანი საქმის წარმოებისათვის.

**ზემოდ მოყვანილი დებულებანი ქორწინება-განქორწინებისა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წარედგინება დასადასტურებლად.**

---

### განმარტება მეცხრე მუხლისა.

**პირდაპირი სისხლითი ნათესაობა** ისეთი ნათესაობაა, რომელიც მშობელთა და მათ პირდაპირ შთამომავლობათა შორის არსებობს, მაგალითად, მე და ჩემი შთამომავლობა, ანდა მე და ჩემი წინაპარნი.

ა რ ა—პ ი რ დ ა პ ი რ ი ნათესაობა ისეთი ნათესაობაა, რომელიც და-ძმათა და მათ შთამომავლობათა შორის არსებობს, მაგალითად: მე და ჩემი შთამომავლობა ერთის მხრით და ჩემი და-ძმა და მათი შთამომავლობა მეორე მხრით.

პ ი რ ვ ე ლ ი თ ვ ი ს ო ბ ა ისეთი ნათესაობაა, რომელსაც ამყარებს ერთი ქორწინება ორ სხვა და სხვა გვარეულობათა შორის, მაგალითად: მე და ჩემი მეუღლის სისხლითი ნათესავები, აგრეთვე ჩემი მეუღლის სისხლითი ნათესავები.

მ ე ო რ ე თ ვ ი ს ო ბ ა, ისეთი ნათესაობაა, რომელსაც ამყარებს ორი ქორწინება სამ სხვა და სხვა გვარეულობათა შორის, მაგალითად: ჩემი სიძე (დის ქმარი) და ჩემი მეუღლე; აქ ორი ქორწინებაა: 1) ჩემი და ჩემი მეუღლის, 2) ჩემი დის და მისი მეუღლის, გვარეულობა კი სამია: 1) ჩემი მეუღლის, 2) ჩემი და ჩემი დის, და 3) ჩემი სიძის.

ხ ა რ ი ს ხ ა დ იგულისხმება დაბადება ერთი ადამიანისა მეორისაგან, მაშასადამე იმდენი ხარისხია, რამდენიც დაბადება. ცოლი და ქმარი ცალკე ხარისხს არ შეადგენენ, ამიტომ ჩემი მეუღლის ნათესავები ჩემთან იმავ ხარისხში ითვლებიან, რომელშიაც იმასთან. მშობელთა და შვილთა შორის ერთი დაბადებაა, მაშ ხარისხიც ერთია; და—ძმათა შორის ორი დაბადებაა (ძმა—მშობლები, და—იგივ მშობლები) და ხარისხიც ამიტომ ორია. გერი (პირველი თვისობის ნათესაობა) მამინაცვალ—დედინაცვალთან იმავე ხარისხში ითვლება, რომელშიაც შვილი თავის მშობელთან, ხოლო ნამდვილ (ღვიძლ) შვილებთან, როგორც ღვიძლ დაძმასთან.

ნ ა თ ლ მ ი რ ო ნ ო ბ ი ს ძალით აკძალულია მხოლოდ შემდეგი ქორწინება: ნათლიისა ნათლულთან, ნათლულისა—ნათლიასთან და მის ცოლ-შვილთან და დედმამასთან.

---

# კორესპოდენცია

### ქ. თელავი.

არც ერთ სახელმწიფოს, რესპუბლიკანური იქნება ეს, სოციალისტური, ბურჟუაზიული თუ მონარქიული, უჯაროთ არსებობა არ შეუძლიან, თვით ბალშევიკებიც, რომლებიც ჯარის წინაღმდეგნი იყვნენ და ამით ატყუებდნენ ხალხს, პირველად უთავბოლოდ დაითხოვეს მთელი ჯარი და მერე-კი მობილიზაციას მობილიზაციაზე აცხადებენ.

ჩვენი ნორჩი თავისუფალ საქრთველოს მთავრობა ასე არ მოიქცა. ის მეტად ფრთხილად მოქმედობს, პირველადვე ანგარიში გაუწია სოფლის მეურნეობას, გლეხი კაცის ოჯახის მდგომარეობას, რომ სოფელი უმუშოდ არ დარჩენილიყო და 10 წლის მაგიერ, მხოლოდ 5 წელიწადში დაბადებულნი ე. ი. 19—23 წლებში გაიწვია და ყველა ახალგაზრდა მოვალე იყო და არის თავის ნებით გამოცხადდეს სამშობლოს წინაშე მოვალეობის მოსახდელად, მაგრამ არსებითი პურის საკითხმა სოფლის ხალხს ყველაფერი დაავიწყა და ამიტომ აღიძრა შუამდგომლობა ვიდრე ყანები დაიმკებოდა ე. ი. 1 მარიამობისთვემდე დასცლოდათ ჯარში გაწვევა. ეს ვადა უკვე გავიდა, ზოგიერთ სოფლებიდან უკვე ცხადდებიან თურმე, ხოლო დანარჩენების წინაალმდეგ როგორც დანამდვილებით გადმოგვცეს სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

რაც შეეხება თელავში მდგომ მერვე ქართულ პოლკიდან გაქცეულ ჯარის კაცებს, რომელთა რიცხვიც, სამწუხაროდ, ძრიელ დიდია, ამათთვისაც 1 მარიამობისთვემდე მიუციათ ვადა, რომ თავის ნებით გამოცხადებულიყვენ, წინაალმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილია ყველანი რევოლიუციონურ ტრიბუნალის სასამართლოში იქმნენ მიცემულნი.

ჩვენ ხელთა გვაქს ამ ტრიბუნალის მოწოდება, რომელიც განცხადების სახით ფართოთ გაავრცელეს მთელი მაზრის სოფლებში.

ეს ტრიბუნალი შემდგარია თელავის თავდაცვის კომიტეტის მიერ, რომლის სამართლიანი მსჯავრი შეუბრალებელი იქნება ყველა იმათზე, ვინც თავის მოქმედობით ხელს შეუშლის ჩვენი რესპუბლიკანურ ჯარის შედგენას.

ამიტომ ტრიბუნალი წინადადებას აძლევს ყველას ვინც თავის ნებით დასტოვა მე-3 და მე-8 პოლკი 1 მარიამობისთვემდე გამოცხადდეს, წინაალმდეგ შემთხვევაში დაისჯებიან:

ვინც პირველად უიარაღოდ გაიპარნენ პოლკიდან—6 თვემდე დაპატიმრებით ციხეში; ვინც მეორედ არიან გაპარულნი და თავის ნებით არ გამოცხადდნენ 1 მარიამობისთვემდე სამ წლამდე ციხეში დაპატიმრებით. თუ იარაღითაა პირველად გაპარული—მაშინ სამ წლამდე ციხეში დაპატიმრებით, მხოლოდ ვინც სამსახურის დროს მაგ. ყარაულობის და სხვა. იარაღით გაიქცევა იგი სიკვდილით იქნება დასჯილი.

რაც შეეხება გატაცებულ ტანისამოსს, აუცილებლივ უნდა გარდახდეთ მათი ღირებულობა.

დასჯილი პირები ციხეში სასჯელის მოხდის შემდეგ, ისევ სამსახურში იქნებიან გაწვეულნი.

ტრიბუნალმა უკვე დაიწყო მოქმედება. პირველად გაარჩია საქმე თელავში მდგომ მე—8 ქართულ პოლკიდან გაქცეულ სალდათებისა, რომელთაც სხვა და სხვა სასჯელი გადაუწყვიტა.

დონ.

---

### ლტოლვილთა შესახებ.

ჯავახეთის და მესხეთის გადმოხვეწილ ლტოლვილების მწუხარება ბაკურიანში აუტანელია. მთელი ზამთარი იდგნენ პოზიციებზე, მათ მტრის ტყვიისთვის შიეშვირათ გული უშიშრად, რომ არ შემოეშვათ და მათ არ გაენადგურებიათ ჩვენი სამშობლო. მაგრამ ეხლა ეს საწყალი ტანჯული ხალხი სამი თვეა გამოიქცა, დასტოვა თავიანთი ადგილ-მამული, ჰინახული და მთელი ქონება. შემოეფარა საქართველოს კალთის ქვეშ, მაგრამ საუბედუროდ აქაც დარჩნენ ცის ქვეშ უპატრონოდ. ყოველ მხრით უბედურება, ცარცვა - გლეჯა, უბინაობა, შიმშილი, ავათმყოფობაა. ეს აუტანელია.

იხოცება ხალხი უმოწყალოდ, ამისთვის ვთხოვთ ყველას იმსჯელოს საჩქაროდ ჩვენი ლტოლვილების შესახებ: აღმოუჩინოს ადგილები, რომ გადაასახლონ, და დაეხმარონ საწყალ ხალხს.

ბაკურიანის ლტოლვილთა კომიტეტის წევრად ნამყოფი ალექსანდრე მ ე ლ ი ქ ი ძ ე.

---

როგორც ირკვევა, ჩვენი მთავრობის ცდით და ფონ-კრესის შუამდგომლობით ლტოლვილთ ნება ეძლევათ დაუბრუნდნენ თავის მიტოვებულ კარ-მიდამოს, გარდა ახალციხის მაზრისა. ეს ნებართვა დაუყონებლივ უნდა ეცნობოს ყველას, ვისაც ჯერარს. ლტოლვილების დაბრუნებას დიდი ფრთხილი და სისტემატიური მუშაობა სჭირია. ამას უნდა უხელმძღვანელოს ჩვენმა მთავრობამ, რომელიც დაიხმარებს ყველა დამხმარე კომიტეტებს და საქველმოქმედო საზოგადოებას.

აუცილებლად საჭიროა ნებართვა გამოთხოვილ იქნას საერთაშორისო გზით ახალციხელ ლტოლვილების შესახებაც. მათი მდგომარეობა სხვებზე უარესია. სიცოცხლის და ქონების ხელუხლებლობა დაცულ უნდა იქნას.

---

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

### კონტრიბუცია.

გაზეთები იუწყებიან, რომ კურსკის სახალხო საბჭოთა მთავრობამ მცხოვრებთ ერთი მილიონ მანეთის კონტრიბუცია დაადო.

---

### მეფისწული ალექსი.

შეთანხმებათა სახელმწიფოების სააგენტოები ცნობას იძლევიან, რომ ივლისის პირველ რიცხვებში მოჰკლეს აგრეთვე რუსეთის სამეფო ტახტის ყოფილი მემკვიდრე ალექსი.

—:—

### სიტყვა „ამხანაგის“ აკრძალვა.

კიევიდან ცნობაა, რომ მეტალისტთა კრებაზე მივიდა მილიციის წარმომადგენელი და განაცხადა, რომ სიტყვა „ამხანაგი“ აღარ იხმარონ, რადგან აკრძალულია.

---

### 350 კაცის დახვრეტა.

საბჭოთა „იზვესტიები“ იუწყება, რომ იაროსლავში დატყვევებულთა რიცხვიდამ საგამომძიებლო კომისიამ გამოჰყო 350 კაცი ამბოხებაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის. ყველა გამოყოფილები კომისიის დადგენილებით უნდა დაიხვრიტონ.

---

### ალექსანდრე III-ს ძეგლი.

მოსკოვში მაცხოვრის ტაძრის წინ ამართულ ალექსანდრე III-ს ძეგლის აღებას შეუდგნენ.


## გამოსადეგი ცნობები

# სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

### კახეთის რკინის გზაზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3—გადის თბილისიდან | დილის | 8 | ს. 28 | წ. |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ 14 | „ |
| თბილისში | „ სალამოს | 5 | „ — | |
| № 4—თბილისიდან გადის | დილის | 8 | „ 58 | „ |
| გურჯაანში მიდის | ნაშუადღ. | 3 | „ 24 | „ |
| თელავში | „ სალამოს | 5 | „ — | |
| № 5—წნორის წყალიდან გადის | დილის | 8 | „ 42 | „ |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ — | „ |
| № 6—გურჯაანიდან გადის | ნაშუად. | 4 | „ 15 | „ |
| წნორის წყალში მიდის | „ | 6 | „ 20 | „ |

## განცხადებები

კავკასიის უწმინდესი და უმართებელესი სინოდის კონტორა აცხადებს, რომ იქ 31 ივლისს 1918 წ. შევიდა თხოვნა ალექსანდრე ვასილის ძე ვალამუევის, რომელიც ცხოვრობს ქ. თბილისში 1 უბანი, ვარდისუბნის ქუჩა. № 17. ვალაბუევი თხოულობს მის ცოლთან ალექსნადრა ვასილის ასული ვალაბუევთან განქორწინებას. ჯვარ დაწერილი არიან ვართაშენის ალექსანდრე-ნეველის ეკლესიაში, ნუხის მაზრა, ალექსანდროპოლის გუბერნია, 25 თებერვალს 1907 წელს. მთხოვნელის განცხადებით, ალექსანდრა ვალაბუევი არა სჩანს 1909 წ. 28 აპრილიდან. ამ განცხადების ძალით ყველა, ვინც იცის სად არის ვალაბუევი ვალდებულია განაცხადოს სინოდალურ კონტორაში ქ. თბილისში ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭვდიდან.

---

კავკასიის სინოდალური კონტორა აცხადებს, რომ 8 აგვისტოს 1918 წ. № 522 გაირჩა ცოლქმრის ოლღა ანტონის ასულის კოტენკოსი და ალექსანდრე ივანეს ძე კოტენკოს განქორწინების საკითხი, ოლღა კოტენკოს თხოვნით. ამ გადაწვეტილების ძალით ალექსანდრე კოტენკოს უფლება ეძლევა შვიდი დღის განმავლობაში განაცხადოს რამდენად კმაყოფილია ის ამ გადაწყვეტილებით და არა უგვიანეს ერთი თვისა წარმოადგინოს კონტორაში (თუ ისურვებს) სააპელაციო განცხადება სინოდის სახელზე.

წინაალმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება სისრულეში იქნება მოყვანილი.

---

846, 847, 848, 851 მუხ. ძალით თფილისის საოლქო სასამართლოს განმარტებით ეძებენ სოფ. წიპრანის, (დუშეთის მაზრა. თფილისის გუბერნია) მცხოვრებს [illegible] ლვთისივარის ძე ბაზიერაშვილს, რომელსაც ბრალი ედება 1453 მუხ. ძალით. დამნაშავის ნიშნები: 23 წლისაა, სიმაღლით 2 არშინი და 11 ვერ. შავი თმები აქვს, წარბები და ულვაშები ქერა. თვალები ნაცრის ფერი, სახე სუქანი.

ყველა ვინც იცის სად არის ბაზიერაშვილი ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. კერძო პირნი და დაწესებულებანი, ვის უწყებაშიც არის დამნაშავის ქონება, ვალდებული არიან შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში.

---

**846, 847, 848, 851** მუხ. ძალით თფილისის საოლქო სასამართლოს განმარტებით ეძებენ სოფ. ჰანჩავეთის (დუშეთის მაზრა. თფ. გუბ.) მცხოვრებს იოსებ დავითის-ძე ნადირაშვილს, რომელსაც ბრალი ედება 1455 მუხ. ძალით. დამნაშავის ნიშნები: 34 წლისაა, სიმაღლით 2 არშ. და 6 ვერ. თმები, წვერ ულვაში და წარბები შავი, თვალები თაფლის ფერი, პირი სუფთა. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ნადირაშვილი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. კერძო პირნი და დაწესებულებანი, რომელთა უწყებაშიც არის დამნაშავის ქონება, ვალდებული არიან შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში.

---

ყოფილ ამიერ-კავკასიის საოლქო სასურსათო სამმართველოს სალიკვიდაციო კომისია ამით უცხადებს საყურადღებოდ ყველა იმ დაწესებულებათა და პირთა, რომელთაც რაიმე საქმე ჰქონდათ სამმართველოსთან, რომ თფილისში სალიკვიდა იო საქმების დამთავრების გამო სალიკვიდაციო კომისია ღებულობს განცხადებებს და პრეტენზიებს მხოლოდ 1 სექტემბრამდე. თხოვნები, განცხადებები და პრეტენზიები, რომლებიც წარედგინება სალიკვიდაციო კომისიას 1 სექტემბრის შემდეგ, გარჩეული არ იქნებიან.


სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.